კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ირაკლი გაბელია

ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლევან ნიკოლეიშვილი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი, ასისტენტი

თბილისი-2019

ანოტაცია

თანამედროვე პერიოდში შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება ნატო-ევროკავშირის ინტერესის სფეროს წარმოადგენს, რასაც ცხადყოფს ჯერ კიდევ 2011 წელს ევროპარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტი „შავი ზღვის სტრატეგია“. 2016 წლის ვარშავის სამიტზე და 2017 წლის ბუქარესტის საპარლამენტო ასამბლეაზე ნატოს მიერ გამოჩენილი ყურადღება მიუთითებს მის ინტერესებზე აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, ასევე 2019 წლის ვაშინგტონის მინისტერიალი, სადაც მინისტერიალმა დაამტკიცა შესაბამისი პაკეტი, რომელიც მოიცავს შავ ზღვაზე უსაფრთხოების მიმართულებით ქმედებებს. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული რეგიონი მიეკუთნებაგლობალური აქტორებისინტერესთა სფეროს, რომელთა შეხედულებები თანხვედრაში არ არიან ერთმანეთთან, რომელიც დაპირისპირების ძირითადი მახასიათებელიცაა. დღეს ნატოს ერთ-ერთი ძლიერი წევრი სახელმწიფო, როგორიცაა თურქეთი, რომელიც ასევე შავი ზღვის რეგიონში მდებარე სახელმწიფოა, აქტიურად თანამშრომლობს რუსეთის ფედერაციასთან, რაც დამატებით პრობლებემს უქმნის ნატოს ინტერესებს აღნიშნულ რეგიონში. ეს ინტერესებია: სტაბილურობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, წევრი ქვეყნების სუვერენიტეტის დაცვა და სხვა.

ნაშრომში განხილულია გეოპოლიტიკური მიზნები სხვადასხვა აქტორებისა და ამის ფონზე საქართველოს ინტერესები და მისწრაფებები. ასევე ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციასთან.

Annotation

NATO – Black Sea Region Strategy, in the Context of Regional Scurity

Irakli Gabelia

Black sea region in the modern period represents an area of NATO – European Union interests, which is proved by "The Strategy of Black Sea" documentacceptedby the European Parliament back in 2011. This can be observedwith the highlightedattention on 2016 Summit in Warsaw and 2017 Parliament Assembly in Bucharest. Besides, the Ministerial has passed the pack of documents, related to security provision in the Black Sea Region in 2019 in Washington, D.C. Recent Annexation of Crimea gives a plenty of evidence regarding of the multiple-side and various interests expressed by the global actors, which cross over the Region and can be a field of possible conflicts.

Today, one of the strongest NATO members – Turkey is increasing cooperative policy with Russian Federation. As a member of the Black Sea Region geographically, Turkey creates additional questions and issues for the interests of Allianse with this course. Key interests contain such aspects as, stability, security, sovereignty of the member-states, etc.

Thesis consists the research of multiple-side interests over the Black Sea Region from the Global perspective, considering the targets of Georgia. As well as the factors, which act negatively on Georgian integration to the North-Atlantic Allianse.

სარჩევი

ანოტაცია.....2

Annotation.....3

შესავალი.....5

I თავი. ევრო-ატლანტიკურ სივრცეში შავი ზღვის უსაფრთხოების ფაქტორის მნიშვნელობის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები.....10

1.1. შავი ზღვის რეგიონის მდებარეობის გეოპოლიტიკური რაობა და მისი კლასიფიკაცია 11

1.2. ცივი ომის პერიოდი და ბიპოლარულ ეპოქაში ძალთა ბალანსის ფაქტორი.....13

1.3 ნატოს გაფართოების პოლიტიკა რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში.....17

II თავი. ნატო, როგორც მშვიდობის გარანტი შავი ზღვის რეგიონში.....20

2.1. ნატოს შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგია: ისტორია და თანამედროვეობა.....20

*2.2.შავი ზღვის რეგიონში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციები და ნატოს როლი.*25

2.3. თანამშრომლობის შემაფერხებელი გარემოებები შავი ზღვის რეგიონის დაპირისპირებულ სახელმწიფოთა გათვალისწინებით.....29

თავი III. ნატოს პოლიტიკური მიზნები შავი ზღვის რეგიონში მშვიდობის დამყარების პროცესში.....40

3.1. შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პროექტები და მათი მნიშვნელობა რეგიონის უსაფრთხოების დაცვაში.....40

3.2. საქართველო-ნატოს ურთიერთობის მნიშვნელოვანი ასპექტები.....51

3.3. ნატოს სამომავლო გეგმები რეგიონთან მიმართებაში და მისი როლი მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფაში.....55

დასკვნა.....58

გამოყენებული ლიტერატურა.....63

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიო. მაგრამ რეგიონით დაინტერესება შედარებით ადრე 80-იან წლებში მოხდა , როდესაც შესაძლებელი გახდა რეგიონალურ დონეზე განვითარებულიყო თანამშრომლობა. დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთობების დათბობამ შცვალა პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები რეგიონში, რომლის თვალსაჩინო მაგალითსაც „ოზალის გეგმა“ წარმოადგენს, რომელმაც ასახვა ჰპოვა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში (BSEC).

თანამედროვე გლობალიზაციის გათვალისწინებით რეგიონის სატრანზიტო ფუნქციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გეოსტრატეგიული თვალსაზრისით კი იგი უნიკალური მდებარეობით გამოირჩევა, რომელიც არის კიდევაც საერთაშორისო ასპარეზზე აქტორთა დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი საგანი.

თემის აქტუალობა: თემაში განხილულია ნატოს ინტერესები შავი ზღვის რეგიონთან მიმართებაში. თემა აქტუალურია, რადგან შავი ზღვის აუზში მიმდინარე მოვლენები ასახვას ჰპოვებენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. დაპირისპირებულ მხარეთა გათვალისწინებით კიდევ უფრო დიდი ინტერესის მატარებელია აღნიშნული რეგიონი, სადაც ბოლო დროს განვითარებული მოვლენები საერთაშორისო ასპარეზზე ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხია.

საკვლევი კითხვები:

1) რა არის ალიანსის მთავარი ამოცანა შავი ზღვის რეგიონთან მიმართებაში?
2) ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, რამდენად ეფექტურია არსებული სტრატეგია უსაფრთხოების უზრუნველყოფაში?

3) როგორი შედეგები შეიძლება მივიღოთ ნატოს სამხედრო ძალების ყოფნით შავი ზღვის რეგიონში?

ჰიპოთეზა: თანამედროვე პერიოდში აქტუალური გახდა შავი ზღის რეგიონის უსაფრთხოება გლობალურ დონეზე. ნატო შავი ზღის რეგიონს განიხილავს საკუთარი უსაფრთხოების შემადგენელ ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს. აღნიშნული საკითხის გათვალისწინებით ის დგამს ქმედით ნაბიჯებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ის ინტერესთა კონფლიქტში მოდის რეგიონის ძლიერ სახელმწიფოებთან. ეს ინტერესთა კონფლიქტი დაპირისპირების საგანი მუდამ იქნება ნატო-რუსეთის ურთიერთობებში, ამ შემთხვევში აუცილებელია კომპრომისების გამონახვა და საერთო შეხედულებებზე შეჯერება, რომელიც არა მხოლოდ ამ კონკრეტულ რეგიონზე, არამედ გლობალურ პროცესებზეც ახდენს გავლენას

თემის მიზნები და ამოცანები:

- არსებული გეოპოლიტიკური რეალობის წარმოჩენა შავი ზღვის რეგიონში
- ალიანსის როლის წარმოჩენა რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში
- შავი ზღვის რეგიონის სახემწიფოთა ინტერესების წარმოჩენა არა მხოლოდ საზღვაო, არამედ ენერგეტიკული ფუნქციების გათვალისწინებით
- არსებული ვითარების შეფასება მსოფლიოში მიმდინარე ძალთა ბალანსის გადანაწილების ფონზე
- ნატოს წევრ და არაწევრ სახელმწიფოთა როლი რეგიონის უსაფრთხოების დაცვაში
- საქართველოს გამოწვევები და ინტერესები გლობალურ აქტორთა დაპირისპირების გათვალისწინებით შავი ზღვის რეგიონში

კვლევის მეთოდები:

- ისტორიულ აღწერილობითი
- მონაცემთა ანალიზი
- კონტენტ ანალიზი
- პროცესების შედარებითი ანალიზი
- თვისობრივი კვლევის მეთოდი
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი

აღნიშნული კვლევა ეფუძვნება საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ სხვადასხვა თეორიებს, რომელთაგან გამოვყოფ შემდეგს:

ძალთა ბალანსის თეორია-ამ კონცეფციის მიხედით, იმის გამო რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, თითოეული სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისთვის და თვითდამკვიდრებისთვის.

გეოსტრატეგიული ბალანსი - შეისწავლის საერთაშორისო საზოგადოებაში მოქმედ აქტორთა შორის ომების თავიდან აცილების საფუძვლებს. ის მოიცავს გეოპოლიტიკურ რეგიონში არსებულ მდგომარეობას, რომელიც გამოირჩევა პოლიტიკური მნიშვნელობით მსოფლიო სისტემის ფარგლებში. რომელიც ასევე იყოფა რეგიონულ და ლოკალურ მახასიათებლებად.

თანამშრომლობითი უსაფრთხოების- თეორია უკავშირდება ამერიკელ მკვლევარს რიჩარდ კოენს. სახელმწიფოები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ოფიციალური და არაოფიციალური კავშირებით და ინსტიტუტებით, რომელთაც საერთო ფასეულობები გააჩნიათ. აგრეთვე ახორციელებენ თანამშრომლობას სამხედრო საქმეში. რომელიც ასევე უსაფრთხოების სისტემის 4 რგოლს აერთიანებს.

ურთიერთდამოკიდებულების თეორია - თორიის ავტორები არიან ამერიკელი მეცნიერ რ. ქიოჰანი და ჯ. ნეი, რომელიც ეწინააღმდეგება რელიზმის სკოლას და გულისხმობს სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილის როლი მცირდება და პირიქით იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი და სხვა. რაც მთავარია, თანამედროვე საერთაშორისო სისტემათა სუბიექტები ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ერთ მთლიანობა ქმნიან, რომლის შენარჩუნება თითოეული მათგანის ინტერესია.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი გამოადგება შავი ზღვის უსაფრთხოებით დაინტერესებულ ყველა ანალიტიკოსს, საერთაშორისო უსაფრთხოების მკვლევარს. ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია საბაკალავრო პროგრამაში. ის შესაძლოა გახდეს გზამკვლევი შესაბამისი უწყებების (საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო) რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში.

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი წიგნები, რომლებშიც მიმოხილულია ნატოს ინტერესები და მიზნები მისი შექმნის პერიოდიდან. ასევე სტატიები და სხვა ნაშრომები, რომელიც აღნიშნულ თემატიკას ეხება.

- შავი ზღვის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები, ვახტანგ მაისაია. თბ. 2003 - არსებული ნაშრომი ეხება შავი ზღვის აუზის რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ ანალიზს საერთაშორისო თეორიულ საკითხებთან ერთად წიგნში ადგილი ეთმობა იმ სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს და მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ცივი ომის პერიოდში და მის შემდეგ აღნიშნულ გეოპოლიტიკურ სივრცეს.

- ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი ნიკა ჩიტაძე. თბილისი 2008 - ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებზე, რომლითაც

დაინტერესებულია ალიანსი შავი ზღის რეგიონში. ენერგოუსაფრთხოება, ტერორიზმი,პოსტსაბჭოთა სივრცე და სხვა

- Black sea security analitical magazine, centre for global studies strategy XXI, kyiv 24april 2017- ნაშრომი ეხება შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებს, სადაც განხილურია რეგიონის ქვეყნების ინტერესები და მიზნები აღნიშნულ რეგიონთან მიმართებაში. როგორც სამხედრო, ასევე გეოსტრატეგიული ბალანსის გათვალისწინებით. გამოყოფილია რეგიონის ძლიერი სახელმწიფოების ინტერესები, როგორებიცაა თურქეთი, რუსეთის ფედერაცია, აგრეთვე ნატოს წევრი სახელმწიფო რუმინეთი და მისი როლი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრსით.

I თავი. ევრო-ატლანტიკურ სივრცეში შავი ზღვის უსაფრთხოების ფაქტორის მნიშვნელობის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები

შავი ზღვის უსაფრთხოების ფაქტორის გაანალიზება ევრო-ატლანტიკურ სივრცეში დიდი ხანია მიმდინარეობს და შესაბამისი ზომების მისაღებადაც იქმნება პაკეტები, რომელიც მიმართულია რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. რომელიც ასევე თანხვედრაშია ალიანსის პარტნიორი ქვეყნების ინტერესებთან, მაგრამ რუსეთის ფედერაციის სახით მას დიდი წინაღობა აქვს გადასალახი, რათა დაიცვას მისი ინტერესები და აგრეთვე ცდილობს არ დაუშვას რეგიონში არსებულ სახელმწიფოებში დესტაბილიზაციის მცდელობები. მისი ინტერესები შავი ზღვის რეგიონში, როგორც დამაკავშირებელი დერეფანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მრავალ ასპექტთანაა დაკავშირებული, როგორიცაა: ენერგეტიკული უსაფრთხოება, პოლიტიკური სტაბილურობა, ტერორიზმის საფრთხე და სხვა. სწორედ ამიტომ, რეგიონი არის დიდი სტრატეგიული ინტერესების მატარებელი, რომელიც იყო გასულ საუკუნეში დაპირისპირების საგანი და ახლაც აქტუალურია საერთაშორისო ასპარეზზე.

1.1. შავი ზღვის რეგიონის მდებარეობის გეოპოლიტიკური რაობა და მისი კლასიფიკაცია

შავი ზღვის აუზის რეგიონი წარმოადგენს ევროპის სამხრეთ ნაწილის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს, რომელშიც შედის 15 სახელმწიფო: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა, საბერძნეთი, რუმინეთი, მოლდოვა, თურქეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, ალბანეთი, სერბეთი, ბულგარეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, მონტენეგრო. უშუალოდ შავი ზღვის აუზი მოიცავს რამდენიმე რეგიონს უშუალოდ შავიზღვისპირეთს (თურქეთი, ბულგარეთი, მოლდოვა, რუმინეთი, ნაწილობრივ რუსეთი - კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეები, უკრაინა), ბალკანეთი (ალბანეთი და ნაწილობრივ საბერძნეთი, მონტენეგრო, სერბეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ჩრდილოეთ მაკედონია) და კავკასია აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი და რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები). შავ ზღვაში ჩაედინება რამოდენიმე მდინარე, რომლითაც იგი საზრდოობს, მაგალითად, ჩრდილოეთიდან - დნეპრი, დნესტრი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დონი და ყუბანი, ბუგი, დასავლეთიდან - პრუტი და დუნაი, აღმოსავლეთიდან - ჭოროხი, რიონი, ენგური. იგი მოიცავს რამდენიმე ნახევარკუნძულს: მცირე აზიის და ბალკანეთის, ყირიმის, გეოგრაფიული თვალსაზრისით შავი ზღვა ასრულებს შემაკავშირებლის როლს ევროპასა და აზიას შორის, მაგრამ მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც არანაკლებია, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ყირიმის ომის შემდეგ დადასტურდა, სადაც ერთმანეთს იმდროინდელი ძლიერი სახელმწიფოების ინტერესები გადაიკვეთა (ოსმალეთის იმპერიის, ცარისტული რუსეთის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის). კლასიკურ გეოპოლიტიკურ თეორიებშიც არის გამახვილებული ყურადღება შავი ზღვის რეგიონზე, მაგალითად, ჰართლენდის კლასიკური თეორია, რომლის ავტორი მაკინდერი გახლავთ, შავი ზღვა შედის ჰართლენდის თეორიაში და წარმოადგენს მის სამხრეთ-დასავლეთ ფლანგს. ის ერთგვარი გასაღებია შიგა ნახევარსამყაროსა და ჰართლენდს შორის, რომლის ფლობითაც შესაძლებელია კონტროლი მსოფლიოს ორივე ნაწილისა.

გეოგრაფიული და პოლიტიკური თავისებურებების გარდა, შავი ზღვის რეგიონი შეიძლება დაიყოს სამ ძირითად გეოპოლიტიკურ ზონად, რომლითაც უნდა მოხდეს მათი მნიშვნელობებისა და გავლენების განსაზღვრა.

1) შავი ზღვის რეგიონის ცენტრალური ზონა - მასში შედიან უშუალოდ ის სახელმწიფოები, რომლებსაც გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე გააჩნიათ გასასვლელი შავ ზღვაზე, ხოლო პოლიტიკური თვალთახედვით ეს ქვეყნები ქმნიან პოლიტიკურ კლიმატს აღნიშნულ რეგიონში. ეს სახელმწიფოებია: რუმინეთი, უკრაინა, ბულგარეთი, საქართველო, რუსეთის ფედერაცია და თურქეთი.
2) შავი ზღვის რეგიონის შიდა საფლანგო ზონა- ამ ზონაში გაერთიანებულ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ უშუალო გასასვლევი შავ ზღვაზე, მაგრამ ისინი სხვადასხვა საშუალებებით არიან დაკავშირებულნი მასთან, პოლიტიკურ-ეკონომიკური, საკომუნიკაციო, ბუნებრივიგეოგრაფიული დისპოზიცია, აქტიური პოლიტიკის წარმოება რეგიონალურ ჭრილში.
3) შავი ზღვის გარე საფლანგო ზონა - ამ ზონაში ერთიანდებიან ქვეყნები, რომლებიც რეგიონის გარეთ მდებარეობენ, მაგრამ მასში მომხარი მოვლენები იწვევენ მათ დაინტერესებას გლობალური, ეკონომიკური, უსაფრთხოების თუ სხვა ინტერესებიდან გამომდინარე.

კავკასიის რეგიონის მნიშვნელობა გაიზარდა პოსტსაბჭოთა პერიოდში, რომელიც თანდათან იძენს ფართო მასშტაბებს. გამოიკვეთა შავი ზღვის გეოსტრატეგიული მდებარეობის კონტურები, რომელიც გულისხმობს შეიარაღებული ძალების სწრაფ გადასროლას ისეთ რეგიონებში როგორებიცაა: ხმელთაშუაზღვსპირეთი, ცენტრალური აზია და ახლო აღმოსავლეთი-სპარსეთის ყურის რეგიონებში. სწორედ ამიტომაც იყო ასეთი მზარდი ყურადღება 90-იან წლებში ამ რეგიონის მიმართ, როდესაც ჩამოყალიბდა კიდევაც სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება სუუამ-ის სახით. მის მთავარ ბირთვს შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს.

ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარე შავი ზღვის რეგიონი გეოსტრატეგიული თავლსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტერიტორიაა. როგორც ცნობილია პოლიტიკურ რუკაზე ფუნდამენტალურ ცვლილებებს ადგილი ჰქონდა 90-იან წლებში, რომელიც დაკავშირებული იყო პოლიტიკურ ცვლილებებთან საბჭოთა კავშირში და აღმოსავლეთ ევროპაში. დღესდღეობით რეგიონში მდებარე თითოეულ სახელმწიფოს გააჩნია საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები.

ცივი ომის შემდეგ რეგიონში მრავალი ცვლილება მოხდა, მათ შორის აღსანიშნავია რეგიონში მდებარე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისთვის ნატო-ს პროგრამა

- „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ გაწევრიანება;
- რევოლუციები უკრაინასა და საქართველოში;
- შავი ზღვის რეგიონის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების (რუსეთის გარდა) ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის პროგრამაში ჩართვა;
- შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკის) შექმნა
- რეგიონის სახელმწიფოების გაწევრიანება ევროპის საბჭოში;
- შავი ზღვის რეგიონის ოთხი სახელმწიფოს მიერ ორგანიზაცია სუამ-ის შექმნა;
- ენერგეტიკული პროექტების განხორციელების დაწყება, რომელიც გლობალური მნიშვნელობის მატარებელი იყო;
- ნატოს მიერ ინტენსიური დიალოგის დაწყება საქართველოსა და უკრაინასთან;

1.2. ცივი ომის პერიოდი და ბიპოლარულ ეპოქაში ძალთა ბალანსის ფაქტორი

მონტროს [1] 1936 წლის საერთაშორისო კონვენციის მიხედვით, ამერიკის და ყველა დანარჩენი არასანაპირო სახელმწიფოს სამხედრო გემებს 21 დღეზე მეტით დარჩენა ეკრძალებათ შავ ზღვაზე. აგრეთვე მათი საერთო წყალწყვა 30 ათას ტონას არ უნდა აღემატებოდეს, სწორედ ამიტომ აშშ-ის საზღვაო ძალებს შავი ზღვის მუდმივად პატრულირება მხოლოდ ნატოს გაერთიანებული ფლოტილიის შემადგენლობაში შეეძლებათ, რადგან შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოებს შორის ალიანსის წევრი სამი ქვეყანაა ბულგარეთი, თურქეთი, და რუმინეთი. საბჭოთა კავშირი (მანამდე რუსეთის იმპერია) შავ ზღვას და ხმელთაშუა ზღვას განიხილავდა ერთ მთლიან გეოპოლიტიკურ სივრცეს და მას მიიჩნევდა მისი ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველ ზონად - დასავლური სახელმწიფოთა მხრიდან. ისევე როგორც ბევრი სხვა რამისთვის ბრძოლა „ცივი ომის“ პერიოდში, შავი ზღვისათვისაც მალევე დაიწყო. გავლენის მოპოვება რეგიონში, სწორედ ეს იყო მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი დაპირისპირებულ მხარეთა შორის. საბჭოთა კავშირმა თავიდანვე აქტიურად მიჰყო ხელი აღნიშნულ საქმეს და დაიძრა აღმოსავლეთისაკენ და „დომინოს პრინციპის“ შესაბამისად მოახდინა თავისი კონტროლის დამყარება (ბულგარეთი, რუმინეთი, იუგოსლავია, ალბანეთი), აქტიურად ჩაერთო საბერძნეთის საშინაო საქმეებში, თურქეთს წაუყენა ტერიტორიული პრტენზიები საქართველოსა და სომხეთის დახმარებით. ასევე მოსკოვმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი შავი ზღვის სრუტეების რეჟიმების გადასინჯვის თაობაზე, რომლის მიზანი სამხრეთ ევრიპული ტერიტორიების კონტროლი იყო. ამას მწვავე რეაქცია მოჰყვა აშშ-ის მხრიდან, რამაც ასახვა ჰპოვა 1947 წლის 12 მარტის დეკლარაციაში, რომელიც ტრუმენის დოქტრინის სახელითაა ცნობილი, რომრლიც აცხადებდა თურქეთისა და საბერძნეთის სუვერენიტეტის გარანტიების დაცვას. ამას შემდგომ 1949 წელს მოჰყვა ნატოს შექმნა, რის საპირისპიროდაც სსრკ-მ ვარშავის პაქტი დააარსა. შავი ზღვის აუზი აღიქმებოდა ჩაკეტილ სივრცედ, სადაც დომინირებდნენ საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რუმინეთის და ბულგარეთის სამხედრო-საზღვაო ძალები. ხოლო თურქეთის

[1] კოწოწაშვილი, მ.. ნატოს შავი ზღვის უსაფრთხოების ახალი სტრატეგია. *ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი* , (2017 წლის 18 თებერვალი) გვ. 100-105.

როგორც ნატოს მოკავშირე სახელმწიფოს მოქმედებები შეზღუდული იყო. სსრკ-ს ეროვნული ინტერესების შემლახავ საზღვარს აგრეთვე წარმოადგენდა ე.წ. „ეგეოსის ბარიერი“ - ხაზი, რომელიც გადიოდა პელოპონესის ნახევარკუნძულსა და კრეტას კუნძულს შორის, რომელიც ფაქტიურად საზღვარი იყო შუა და ხმელთაშუაზღვებს შორის. ნატოს სამხედრო ძალების ინტერესებს რეგიონში წარმოადგენდა მე-6 ფლოტი. მის განკარგულებაში 60-იანი წლებიდან იყო ფრთოსანი რაკეტები „პოლარისი“, ხოლო 80-იანი წლებიდან „ტომეჰოკი“.1967 წელს შექმნილ ჰარმელის მოქნილი რეაგირების დოქტრინაში დიდი ყურადღება ხმელთაშუა ზღვას ექცეოდა, 1969 წლის 16 იანვარს ნატოს თავდაცვის დაგეგმარების კომიტეტის მხრიდან შემუშავდა სპეციალური გეგმასპეციალური სამხედრო-საზღვაო ძალების ჯგუფის შექმნისა და საერთო სამოკავშირეო საჰაერო-საზღვაო ოპერაციების მოქმედებათა კოორდინაციის შესახებ. ამ ყველაფერს კი სსრკ მიიჩნევდა, როგორც მისი ეროვნული ინტერესებისა და სუვერენიტეტის შელახვის მცდელობას. სწორედ ამიტომაც მისი ინტერესები ორი რეგიონისაკენ იყო მიმართული: ახლო აღმოსავლეთისა და ბალკანეთის მიმართულებით. მისი ინტერესი იყო გაჭრილიყო ხმელთაშუა ზღვაში და მოეხდინა ნატოს სამხედრო ძალების იზოლირება. ამ მიზნით 60-იანი წლებიდან ხმელთაშუა ზღვაში განალაგა სამხედრო-საზღვაო ძალების მე-5 ესკადრა, რომლის მრავალ მიზანთაგან ერთ-ერთი შავი ზღის მისადგომების დაცვა იყო. ამის პარალელურად მოსკოვი აწარმოებდა აქტიურ პოლიტიკას აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებთან, აგრეთვე ამ მიმართულებით სსრკს გააჩნდა მძლავრი სამხედრო-საძღვაო ბაზები ალეპოსა და სომალიში, რომელიც მიმართული იყო ამერიკელების საპირისპიროდ, რომლებსაც ასევე ბაზები გააჩნდათ საბერძნეთსა და თურქეთში.

„ცივი ომის“ დროს სსრკ დიდ ყურადღებას უთმობდა კავკასიას, ვიდრე ბალკანეთის რეგიონს, გამომდინარე მისი უშუალოდ მდებარეობისა სამხედრო მოქმედებათა თეატრის ზონაში[2], რომელიც აგრეთვე კარგი პლაცდარმი იყო შუა აღმოსავლეთისა და სპარსეთის ყურის რეგიონში შესაძლო საბრძოლო მოქმედებათა საწარმოებლად.

ამიერკავკასიაში იყო ყველაზე დიდი სამხედრო დაჯგუფება დისლოცირებული და ყველაზე მილიტარიზირებული რეგიონი თვის საბჭოთა კავშირში.[2]

80-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც მოხდა ირანში ხელისუფლების ცვლილება და სათავეში მოვიდნენ შიიტი ისლამისტ-რადიკალები, საბჭოთა კავშირმა ამიერკავკასიაში სწორედ ირანზე გადაიტანა ყურადღება. ავღანეთში შეჭრამ კიდევ უფრო გაზარდა ასეთი დაინტერესება. ამის ნათელი დადასტურებაა აზერბაიჯანში საბჭოთა შენაერთთა და შეიარაღების ერთი-ორად გაზრდა სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. ბალკანეთის მიმართ გამოჩენილი ნაკლები ყურადღება განპირობრბული იყო იმ ფაქტით, რომ ნატოსა და საბჭოთა კავშირის სამხრეთის მიმართულებით დაპირისპირებისას არსებობდა ე.წ. „ბუფერული ზონა“, რომელსაც იუგოსლავიის საკავშირო ფედერაციული რესპუბლიკა წარმოადგენდა. იგი 1960 წლიდან ატარებდა მიუმხრომლობის პოლიტიკას, რომლის დადასტურება ოფიციალურად მოხდა 1977 წელს ბელგრადში მიღებული დეკლარაციით, გარდა ამისა იუგოსლავიას შემუშავებული ჰქონდა სამხედრო დოქტრინა, რომელიც თავდაცვითი ხასიათის მატარებელი იყო და ორივე (ნატოსა და ვარშავის პაქტის) მხრიდან წარმოებულ სავარაუდო აგრესიას პასუხობდა.

შავი ზღვის რეგიონის გეოსტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობის „ცივი ომის“ პერიოდი 1987 წელს დასრულდა, როდესაც კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა ბელგრადის საინიციატივო წინადადებათა პაკეტი ჩამოაყალიბა, რომელიც მიმართული იყო ხმელთაშუაზღვისპირეთში კონფრონტაციის შენელებისაკენ, რომელიც 3 მიმართულებას მოიცავდა:

- ხმელთაშუაზღისპირეთიდან ბირთვული იარაღის მატარებელი საზღვაო ხომალდების გაყვანა და უბირთვო ზონების შექმნა
- ხმელთაშუა ზღვის აკვატორიიდან საბჭოთა კავშირის და აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების მოქმედებათა შეზღუდვა
- უცხოური ბაზების ლიკვიდაცია რეგიონის ქვეყნების ტერიტორიაზე

[2]მაისაია, ვ. *შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები.* პარიზი: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი.(2003). გვ 115-123

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს სამხდრო პოლიტიკური ვითარება საკმაოდ შეიცვალა და მიიღო ახალი რეალიები.

1.3 ნატოს გაფართოების პოლიტიკა რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში

ნატო დაარსების დღიდან ახორციელებს „ღია კარის“ პოლიტიკას, რომელიც აისახებოდა კიდეც დროთა განმავლობაში მის წევრთა რაოდენობაში. მოგეხსენებათ, რომ ალიანსის დამფუძნებელი ქვეყნები გახლავთ: კანადა, ბელგია, საფრანგეთი, დანია, იტალია, ისლანდია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ნორვეგია, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ქვეყნებმა 1952 წელს მიიღეს გადაწყვეტილება მათ რიგებს შემატებოდა საბერძნეთი და თურქეთი, 1955 წელს გერმანიის ფედერაციული კავშირი, ხოლო ესპანეთი 1982 წელს.

გაფართოების შემდეგი რაუნდი უკვე პოსტ ბიპოლარულ სამყაროში მოხდა, როდესაც ცენტრალური ევროპის რამდენიმე ქვეყანამ გადაწყვიტა შეერთებოდა ჩრდოლო ატლანტიკურ ორგანიზაციას და მათი სრულუფლებიანი წევრები გამხდარიყვნენ. სწორედ ამის გამოხატულება გახლდათ 1999 წელს ალიანსში ჩეხეთის რესპუბლიკის, უნგრეთის და პოლონეთის გაწევრიანება. რასაც 2004 წელს დიდი გაფართოება მოჰყვა, ალიანსს შეუერთდა კიდევ შვიდი სახელმწიფო ესენი იყვნენ: ესტონეთი, ბულგარეთი, ლიეტუვა, ლატვია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია. შემდეგი გაფართოების ტალღა შედგა 2009 წელს, როდესაც ალიანის წევრები გახდნენ ხორვატია და ალბანეთი, 2017 წელს კი მათ რიცხვს მონტენეგრო შეუერთდა. გაფართოების პოლიტიკა მიზნად ისახავს სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარებას. სწორედ ეს იყო მიზეზი ცივი ომის პერიოდში ნატოს პოლიტიკის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი, რადგან ალიანსს თავიდან აერიდებინა საბჭოთა კავშირის სვლა აღმოსავლეთისაკენ და შეეჩერებინა იგი.

უშუალო დაინტერესება კავკასიის რეგიონით ნატოს მხრიდან მოხდა 1994 წელს, „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ამოქმედებით, ხოლო განვითარება ჰპოვა

1997 წელს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ჩამოყალიბებით. ტრანსატლანტიკური სივრცის მიღმა ნატოს ინტერესთა სფეროს გაფართოება წარმოჩენილია 1999 წლის ნატოს ვაშინგტონის სამიტზე და იქ მიღებულ დოკუმენტებზე „ალიანსის სტრატეგიული კონცეფცია და თავდაცვითი შესაძლებლობათა ინიციატივა“. აღსანიშნავია, რომ ნატო პარტნიორობისა და თანამშრომლობის პრინციპის ჩარჩოებში კავკასიას მოიაზრებს ერთი რეგიონის სახით. ამ კუთხით გამოსაყოფია 1999 ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (ეაპსი) ფარგლებში „კავკასიის სამუშაო ჯგუფის“ ჩამოყალიბება, სადაც განიხილება რეგიონში არსებული პრობლემები და მოგვარების შესაბამისი გზები. ფაქტობრივად ამით მოხდა გამოხატვა ნატო-ს ინტერესებისა კავკასიის რეგიონში

2001 12 სექტემბერს ჩრდილო-ატლანტიკურმა საბჭომ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში მომხდარი ტერორისტული თავდასხმა გამოაცხადა თავდასხმად მის თითოეულ წევრზე, რომელიც იყო ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც ამოქმედდა ნატოს მე-5 მუხლი, რომელიც კოლექტიურ თავდაცვას გულისხმობს. 9/11-მა თვალნათლივ აჩვენა მსოფლიოს რომ იგი შორსაა სიმშვიდისა და უსაფრთხოებისაგან. პრეზიდენტმა ჰაველმა აღნიშნა, რომ 11 სექტემბრის მოვლენებმა „გაგვაფრთხილა ჩვენ ბოროტებაზე, რომელიც ამ სამყაროში არსებობს. და ჩვენ იგივენაირად უარვყოფთ თავშესაფარში ცახცახის პოლიტიკას. ამ სახიფათო სამყაროში მოკავშირეები შეუცვლელნი არიან, თუკი ჩვენ გვინდა შევაჩეროთ ახალი საფრთხეები ტერორისტებისა და მტრულად განწყობილი სახელმწიფოების მხრიდან, რომელთაც სურთ ხელში ჩაიგდონ მასობრივი განადგურების იარაღი. ის, ვინც ფიქრობს, რომ ნატო ჯერ კიდევ აქტუალური არ არის, იგნორირებას უკეთებს იმ ფაქტს, რომ ნატო იძენს ძალას მთავარი მიზნიდან - დაიცვას ჩვენი ხალხი და ჩვენი ფასეულობები“ (Havel.V. 2002).[3] სწორედ ნატოს პრაღის სამიტი გახლდათ ფორმირების გადამწყვეტი ახალ საუკუნეში, სადაც დაისახა კიდეც სამი მთავარი ამოცანა:

---

[3]ვაშაკიძე, რ, *ნატოს სტრატეგია ღია კარის პოლიტიკაში შავი ზღვის რეგიონის მიმართ.*თბილისი.(2009) გვ 46-64

1) ნატომ შეიძინა ახალი პოტენციალი რათა გაუმკლავდეს ახალ საფრთხეებს;
2) გააფართოვა წევრობა ევროპის ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების;
3) გააძლიერა პარტნიორობა რუსეთთან, უკრაინასთან და სხვა სახელმწიფოებთან

9/11- ის მოვლენებმა თვალნათლივ დაანახა დასავლეთს, რომ 1997 წელს დაწყებული გაფართოება უნდა გაგრძელებულიყო.

ნატოს სურს გააღრმავოს თანამშრომლობა მის პარტნიორ სახელმწიფოებთან სახრეთ კავკასიის რეგიონში, რომელსაც ასახავს კიდეც ალიანსის ლიდერების 2004 წლის ივნისში მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭა თანამშრომლობას კავკასიის რეგიონში და ცენტრალურ აზიაში. პარტნიორობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს აძლევს საშუალებას გადაწყვიტონ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, გამოიყენონ ალიანსის გამოცდილება და ისარგებლონ ალიანსის მხარდაჭერით უფრო ღრმა რეფორმების გატარებისას. ბოლო წლების განმავლობაში თითოელი ქვეყნის მიერ შემუშავებულ იქნა „პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა“, რომლითაც ამაღლდა თანამშრომლობის დონე და გამოიკვეთა მათი პრიორიტეტული მიმართულებები. სამხრეთ კავკასია მდებარეობს შავ ზღვას და კასპიის ზღვას შორის და ესაზღვრება თურქეთს, ირანს და რუსეთს. რეგიონს საუკუნეთა განმავლობაში დიდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დღესაც. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ნატო-ს პოზიციას გააღრმავოს დიალოგი და გაამყაროს უსაფრთხოება რეგიონში არის ის, რომ უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები - მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, ტერორიზმი, რეგიონული კონფლიქტები ეს არ არის ერთი კონკრეტული სახელმწიფოს პრობლემა და მასთან ბრძოლა აუცილებელია თანმშრომლობისა და ერთობლივი მოქმედებების საფუძველზე. მით უმეტეს აღნიშნული პრობლემების წინაშე თვით ეს რეგიონიც დგას.

პარტნიორული ურთიერთობები ეს არ არის მხოლოდ თანამშრომლობა ეს არის ფასეულობებზე დამყარებული კავშირი, როდესაც პარტნიორი ქვეყნები უერთდებიან პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, შესაბამისად ისინი კისრულობენ

ვალდებულებას დაიცვან გაეროს ქარტია, საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები განიარაღების და შეიარაღების კონტროლის შესახებ და ჰელსინკის საბოლოო აქტი, დაიცვან არსებული საზღვრები, მშვიდობიანად მოაგვარონ დავები. ასევე ჩარჩო დოკუმენტი ავალდებულებს მოკავშირეებს ითანამშრომლონ ნებისმიერ პარტნიორ სახელმწიფოსთან, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი ტერიტორიული მთლიანობა საფრთხეშია, უსაფრთხოება და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ეს მიზნად ისახავს დაამყაროს მშვიდი და პარტნიორული ურთიერთობები მოკავშირე სახელმწიფოებმა და სხვა პარტნიორმა ქვეყნებმა.

II თავი. ნატო, როგორც მშვიდობის გარანტი შავი ზღვის რეგიონში

2.1. ნატოს შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგია: ისტორია და თანამედროვეობა

შავი ზღვის რეგიონს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კასპიის, ხმელთაშუა ზღვისა და ეგეოსის აუზებს შორის, რომელიც აღმოსავლეთში გასასვლელ ხელსაყრელ გარემოს ქმნის, ამიტომ დომინანტი სხელმწიფოთა ინტერესები აღნიშნულ რეგიონთან მიმართებაში არ არის უსაფუძვლო. რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით მისთვის მიუღებელია რეგიონის ქვეყნების დემოკრატიზაცია და თანამშრომლობა ნატოს წევრ ქვეყნებთან. აგრეთვე გაზისა და ნავთობის ალტერნატიული პროექტების განვითარება,

ამიტომაც რუსეთი ქმნის და ინაჩუნებს კონტროლს რეგიონში არსებულ კონფლიქტებზე. სამი შავიზღვისპირა სახელმწიფო ნატო-ს წევრია, შესაბამისად რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას და სამხედრო უპირატესობებს ნატო განიხილავს როგორც საფრთხეს როგორც რეგიონის ასევე ევრო-ატლანტიკური სივრცისათვის.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თუ რატომ არ არის წარმოდგენილი ნატო შავ ზღვაზე შესაბამისად, ეს გახლავთ თურქეთის მიერწარმოებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ნატოს როლის შემცირებას. 2001 წელს თურქეთის ინიციატივით შეიქმნა სამხედრო-საზღვაო ოპერატიული ჯგუფი „ბლექსი ფორი“, რომელიც შემდგომ პერიოდში გაძლიერდა „შავი ზღვის ჰარმონიის“ მეშვეობით. რამაც, გამოიწვია, ის რომ, შავი ზღვა დღესდღეობით არის ნაკლებად დაცული და მოწყვლადი აღმოსავლეთ რეგიონში. თუმცა სირიის საზღვართან არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით თურქეთი დამოკიდებული ხდება ნატო-ს „პატრიოტის“ საჰაერო თავდაცვის სისტემებზე, რის გამოც ის იძულებულია ითანამშრომლოს აღნიშნულ საკითხზე რუსეთთან და ნატო-სთან. ნაკლებია აგრეთვე ნდობა რეგიონის სახელმწიფოთა მხრიდან, რომელიც ფაქტობრივად გულისხმობს თანამშრომლიბის არ არსებობას შავი ზღვის რეგიონში, აგრეთვე რეგიონის არცერთ სახელმწიფოს არ გააჩნია თანმიმდევრული პოლიტიკა.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ შავი ზღვს რეგიონში მიმდინარე პროცესები ზეგავლენას ახდენს ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზე. ამას თან ერთვის სამხრეთიდან მომავალი საფრთხეები, რომელსაც რუსეთის ფაქტორიც ემატება და კიდევ უფრო ამძიმებს რეგიონში არსებულ უსაფრთხოებას.

მოლოდინი იმისა, რომ ნატო შავ ზღვაზე გააქტიურებას დაიწყებდა გამართლდა. ვარშავის სამიტზე მიღებული განცხადების მეათე პუნქტში აღნიშნულია, რომ რუსეთი ეწევა პროვოკაციულ ქმედებებს და იყენებს იქ განთავსებულ სამხედრო შენაერთებს საკუთარი ძალის დემონსტრირებისათის, რომელიც რისკის შემცველი ფაქტორების მატარებელია ნატოს წევრი ქვეყნებისათვის. ამავე განცხადების 23-ე პუნქტში აღნიშნულია უსაფრთხოების გაუარესება რეგიონში, ამასთან დაკავშირებით ნატო

გამოთქვამს სურვილს მხარი დაუჭიროს სახელმწიფოთა ძალისხმევას, რომელიც მიმართული იქნება რეგიონში მშვიდობის დამყარების დამყარებისათვის და გააქტიუროს დიალოგი უკრაინასთან და საქართველოსთან. შავი ზღვის უსაფრთხოების თემა ასევე ასახულია ნატო-საქართველოს ერთობლივი კომისიის განცხადებაში, რომელშიც გადმოცემულია, რომ ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები მიესალმებიან საქართველოს ჩართულობას შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში.

ვარშავის სამიტის დოკუმენტში არ არის საუბარი კონკრეტულ ნაბიჯებზე , მაგრამ ის სიგნალის მიმცემ პოსტულატებს შეიცავს რუსეთისათვის, და მას არ ექნება სტრატეგიული უპირატესობა შავ ზღვაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით თავისი ადგილი ექნება საქართველოსა და უკრაინას. ვარშავის სამიტზე ნატოს არ ჰქონდა სტრატეგიული ხედვა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაში თუ რა როლი უნდა შეესრულებინა მას. ნატოს ინტერესებში შედის არა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების, არამედ სტრატეგიული პარტნიორების თავდაცვითი პოტენციალი სრულად იქნეს გამოყენებული. ექსპერტთა აზრით, ნატოს პარტნიორი ქვეყნების, ფინეთისა და შვედეთის ჩართულობის გარეშე ბალტიის რეგიონის დაცვა სრულფასოვნად წარმოუდგენელია, ისევე როგორც, საქართველოსა და უკრაინის როლი შავი ზღვის უსაფრთხოების დაცვაში საკმაოდ მაღალია.

1936წლის 20 ივლისს შვეიცარიის ქალაქ მონტროში ხელმოწერილი კონვენციის მიხედვით იგი არეგულირებს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის წესს, რომელსაც ხელს აწერდნენ მთელი რიგი სახელმწიფოები. ესენია: საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, ბელგია, იუგოსლავია, რუმინეთი, ავსტრალია, საბერძნეთი და იაპონია. ნატოს ინტერესებში შედის აგრეთვე აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად გაზარდოს მისი ყოფნის ხანგრძლივობა შავ ზღვაზე.

ამავე კონვენციის მიხედვით, ნებისმიერი სახელმწიფოს სავაჭრო გემებს (თურქეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის გემების გარდა) შავი ზღვის სრუტეებით თავისუფლად სარგებლობის უფლება აქვთ მინიჭებული როგორც საომარ ასევე

სამშვიდობო ვითარებაში. სამხედრო გემებს რაც შეეხება აქ გარკვეული ზღვრული პარამეტრებია შემუშავებული, რომელიც ძირითადად ეხება არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებს, მათ შუძლიათ მშვიდობიან პერიოდში 45 ათასიტონა წყალწყვის გემები იყოლიონ და დარჩნენ მაქსიმუმ 21 დღის განმავლობაში. მაგრამ აღნიშნული შეზღუდვა არ მოქმედებს შავიზღისპირა ქვეყნებისათვის.

ამერიკის საზღვაო ძალებს კონვენციის ეს მოთხოვნა აიძულებს შემოვიდნენ შავ ზღვაში მხოლოდ როტაციის მიხედვით. მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, ვინაიდან და რადგან მოქმედების ვადის გახანგრძლივება შესაძლებელია 20 წელიწადში ერთხელ.

თითოეული ცვლილება, რომელიც შეიძლება აისახოს მონტროს დოკუმენტში აუცილებლად აისახება საქართველოს უსაფრთხოებაზე. ამიტომ ქართული მხარე დაინტერესებული უნდა იყოს ცვლილებების შეტანით აღნიშნულ დოკუმენტში, მაგრამ რა სახის ცვლილებებზეა საუბარი. ქართული მხარისთვის მისაღები უნდა იყოს მილიტარიზაციის შემცირება რეგიონში და შავ ზღვაში მოსალოდნელი შეტაკებების თავიდან აცილება უნდა იყოს მთავარი იდეა.

გასათვალისწინებელია, რომ კონვენცია შეიცავს გარკვეულ შეზღუდვებს საომარი ვითარების დროს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის წესებს, რომელშიც ნათლად ჩანს თურქეთის ინტერესების დაცვა და აგრეთვე მისი მოკავშირეების, კონვენციის ეს ნაწილი გასასწორებელია, რადგან ის პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს თურქულ მხარეს. შესაძლოა ეს გახდეს შემდგომი ესკალაციის მიზეზი რეგიონში სიტუაციის დაძაბვისა. შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგია მიზნად ისახავს რუსეთის ზეგავლნის შემცირებას კავკასიის და შავი ზღვის რეგიონში, აგრეთვე წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გამყარებას. 2016 წლის 8-9 ივლისს ვარშავის ნატოს სამიტის მთავარი ამოცანა შავი ზღვის ფლოტის შექმნა იყო, რომელიც ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ელემენტებით იქნებოდა აღჭურვილი, მაგრამ სამიტამდე 4 დღით ადრე ბულგარეთმა პატრულირებაზე უარი თქვა შავი ზღვის რეგიონში, რადგან მას ეშინია თურქეთის მოსალოდნელი გაძლიერების, რომელსაც

გაცილებით ძლიერი ფლოტი ჰყავს შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ნატოს წევრები არიან.

შავიზღვისპირა ექვსი სახელმწიფოდან 3 ნატოს წევრია, მაგრამ რუსეთი კვლავ რჩება ძლიერ მოთამაშედ რეგიონში, მის საპირწონე ძალად შესაძლოა გამოდგეს თურქეთი, მაგრამ ბოლო პერიოდში მომხდარი მოვლენების გამო თურქეთს დაეძაბა ურთიერთობები ბრიუსელთან, ხოლო რუსეთის ფედერაცასთან მან გამონახა საერთო ენა, რაც დამატებით პრობლემებს უქმნის ნატოს ინტერესებს აღნიშნულ რეგიონში.

2019 წელს დამტკიცდა ე.წ. შავი ზღვის პაკეტი. აღნიშნული პაკეტი აერთიანებს და მიზნად ისახავს საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერის გაძლიერებას, ის ითვალისწინებს საქართველოს მხარდაჭერას ისეთ სფეროებში, როგორიცაა საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის სამსახურის წვრთნა, ინფორმაციის გაცვლა და ვიზიტები პორტებში. ეს არ ნიშნავს, რომ ნატო მუდმივად აპირებს ტაქტიკური რაკეტებითა და საარტილერიო დანადგარებით აღჭურვილი საესკადრო ნაღმოსნების გამოგზავნას შავი ზღის რეგიონში, მაგრამ ოპრატიული ურთიერთობები წამყვანი ქვეყნების საზღვაო ძალებთან ძალზედ მნიშვნელოვანია. ეს პაკეტი ნატოს 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დამტკიცდა და ასევე ეს იუბილე ნატომ აღნიშნა მასშტაბური წვრთნებით შავი ზღვის რეგიონში, რომელიც ცნობილია როგორც ზღვის ფარი, რომელმაც სტარტი რუმინულ კონსტანცაში აიღო და მასში მონაწილეობას იღებდა ნატოს 20 გემი 2200 ჯარისკაცი და სამხედრო ავიაცია. მათ შორის თურქული F-16-ები და რუმინული მიგ-21-ები, რამოდენიმე დღით ადრე კი რუმუნეთის ცაზე სტრატეგიული ამერიკული ბომბდამშენი B-52 გამოჩნდა. აგრეთვე საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიულ წყლებში შემოვიდნენ და ერთობლივი წვრთნები გამართეს. შავი ზღვის პაკეტის მთავარი მიზანი შავ ზღვაზე ნატოს გაძლიერება და რუსეთის მეკობრეობის შეჩერებაა, მოსკოვში არ გამორიცხავენ, რომ უკრაინასა და საქართველოს მიმართ ინტერესი შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს, აგრეთვე რუსულ საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ შავი ზღვა შასაძლოა იქცეს ნატო-რუსეთის დაპირისპირების ზონად. ამის საპასუხოდ მოსკოვი შავი და აზოვის ზღვების მილიტარიზაციას იწყებს და

ასე ეწინააღმდეგება ნატოს ასე აქტიურად შემოსვლას რეგიონში, აგრეთვე ის აქტიურად იყენებს ოკუპირებულ აფხაზეთსა და ანექსირებულ ყირიმს საკუთარი ინტერესების გატარებისათვის.

2.2.შავი ზღვის რეგიონში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციები და ნატოს როლი

კავკასიის, კერძოდ შავი ზღვის რეგიონში არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია გახლავთ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელიც 1992 წლის 25 ივნისს სტამბოლში შეიქმნა. რომელსაც ხელს აწერდნენ თურქეთის, რუსეთის, საბერძნეთის, ბულგარეთის, მოლდოვის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუმინეთის, ალბანეთისა და საქართველოს წარმომადგენლები.

შეიქმნა დეკლარაცია, რომელშიც დასახულია მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი ფაქტორები, პოლიტიკური ფაქტორები, რომელიც მთლიანად შეესაბამება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის დასკვნით აქტს და პარიზის ქარტიას ახალი ევროპისათვის, რომელშიც ხაზგასმულია, რომ შავი ზღვა უნდა იყოს სტაბილურობისა და აყვავების ზღვად ქცეული.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია შეიქმნა თურქეთის ინიციატივით და მასში გაერთიანდენენ სახელმწიფოები, რომლებიც ადრე დაპირისპირებულ ბანაკში იყვნენ. იალტის სამიტზე 1998 წელს მოხდა საბოლოო ჩამოყალიბება და ის იწოდებოდა როგორც - საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია.

შავი ზღვის ქვეყნების ავტირიტეტი თანდათან მაღლდება საზოგადოებაში, რომლის მისამართით ინტერესებს იჩენენ ძლიერი სახელმწიფოები, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მეთვალყურის სტატუსით მასში შევიდნენ გერმანია და საფრანგეთი.

საქართველოსადმი და ზოგადად კავკასიისადმი მზარდი ინტერესი, როგორც ყველაზე მოკლე და უსაფრთხო გზას, შუა აზია - კასპიისპირეთის რესურსებით მდიდარ რეგიონსა და ევროპის ბაზრებს შორის ახასიათებენ. ხოლო საქართველოს ახასიათებენ, როგორც ამ რგოლში შემავალ ერთ-ერთ ძლიერ წევრს

ტრასეკას და ინოგეიტის პროექტები, რომლებიც ხორციელდება ევკავშირის დახმარებით გულისხმობს აბრეშუმის გზის გაყოლებაზე თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასსტრუქტურის დანერგვას, რომელიც მასშტაბებით სცილდება რეგიონულ დონეს და მსოფლიო მასშტაბებს იღებს. ბაქოში 1998 წელს გაიმართა ტრასეკას ქვეყნების სამიტი, რომელშიც საერთაშორისო ორგანიზაციები და 14 სახელმწიფოს პრეზიდენტი მოღვაწეობდა. ბაქოს სამიტის შემდგომ 1998 წელს ანკარაში რეგიონის ქვეყნების მიერ მოხდა შეხვედრა, სადაც ყაზახეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, საქართველოს ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ანკარის დეკლარაციას და მხარდაჭერა აღუთქვეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გზით ნავთობის ტრანსპორტირებას. აგრეთვე ამ დეკლარაციას ხელი მოაწერა აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრმა.

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი დამფუძნებელი პირველი რეგიონული გაერთიანებისა, რომელსაც 1998-1999 წლებში თავმჯდომარეობდა. თბილისის სამიტზე კი მიიღეს პლატფორმა ბისეკსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობისა, რომელიც დიდი ნაბიჯი იყო ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე.

2000-2002 წლებში ბისეკი გარდაიქმნა კონკრეტულ პროექტებზე ორიენტირებულ ორგანიზაციად. საქართველოს ინიციატივა, რომელიც მან გააჟღერა სტამბოლის სამიტზე, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში რეგიონალური ცენტრის შექმნის შესახებ, შავი ზღვის აუზის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებით უზრუნველყოფს არა მარტო შავი, არამედ კასპიისა და ხმელთაშუა ზღვების უსაფრთხო ათვისებას.[4]

[4]ქარუმიძე, ვ.. *საერთაშორისო ორგანიზაციები.*თბილისი: საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო-კულტურულ საგანმანათლებლო კავშირი-საზოგადოება „ცოდნა“.(2003)

ორგანიზაციის 10 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე შეკრებილ სახელმწიფოთა ლიდერებმა შეაჯამეს განვლილი პერიოდი მუშაობის მეთოდები და შედეგები. მან ფართო აღიარება მოიპოვა საერთაშორისო მასშტაბით და ჩამოყალიბდა მჭიდრო კონტაქტები ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ტურიზმის და სხვა სფეროებში. ასევე გამოიკვეთა შავი ზღის აუზის წევრი ქვეყნების ინტერესთა თანხვედრა. ურთიერთობა ევროკავშირთან, ენერგეტიკულ სფეროებში.

ორგანიზაციას აქვს წესდება, რომელშიც მასში შემავალი ქვეყნები გამოხატავენ თავიანთი ხალხების სურვილებსა და მისწრაფებებს. ესენია: რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის, კეთილდღეობის ხელშეწყობა ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გათვალისწინებით და აგრეთვე საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვით.

მოქმედი თავმჯდომარე, წესების მიხედვით, კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის ქმედებას და საქმიანობის წარმმართველია. ასევე იგი ხელს უწყოს მიღებული რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების განხორციელებას.

სუუამი - საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1997 წლის 10 ოქტომბერს. თავდაპირველად შეიქმნა აზერბაიჯანის, უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს ინტერესთა თანხვედრის საფუძველზე. 1999 წელს კი მას უზბეკეთიც შეუერთდა ეს მოხდა ნატოს ვაშინგტონის სამიტის დროს. მონაწილეთა ინტერესებმა აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის მიმართულებით გადაინაცვლა დროთა განმავლობაში.

სუუამ-ი ახორციელებს მრავალმხრივი თანამშრომლობის გააქტიურების ღონისძიებებს, რომლის მიზანია ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის ეფექტიანი განვითარება, აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობებისადმი ხელშეწყობა. ეს პრინციპები დაცულია მემორანდუმით, რომელიც 2000 წლის სექტემბერში გაეროს შტაბ-ბინაში იქნა მიღებული.

მემორანდუმში აისახა ისეთი პრინციპები, როგორიცაა სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა, ძალის გამოუყენებლობა, შინაურ საქმეებში ჩაურევლობა. სისტემატიურად იმართება სამიტები. 2001 წლის შეხვედრით იალტაში დაიწყო ახალი ეტაპი მასში მონაწილე ქვეყნების თანამშრომლობაში. დადასტურდა, რომ სუუამ-ი ის ღია ორგანიზაციაა და სხვა ქვეყნების ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, ხოლო სუუამ-ის წევრი ქვეყნების მისამართით იზრდება ინტერესები საერთაშორისო აქტორთა მხრიდან.

რეგიონული თანამშრომლობის კუთხით საქართველოსათვის პრიორიტეტულია სუუამ-ი, რომელიც რეგიონული თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია, რომლის მთავარი მიზანი უშიშროების საკითხებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებაა, ასევე ბისეკის ფარგლებში მნიშვნელოვანი თანამშრომლობის გაღრმავება.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა- რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 1993 წლის 22 იანვარს შეიქმნა. მისი მთავარი მიზნებია: წევრი სახელმწიფოების სოციალური განვითარება ეკონომიკური სივრცის ფარგლებში, ეკონომიკური, პოლიტიკური, ჰუმანიტარული, ეკოლოგიური, კულტურულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობის განხირციელება, ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში სახელმწიფოთა თანამშრომლობა, თანამეგობრობის სახელმწიფოთა შორის დავების მშვიდობიანი გზებით მოგვარება.

დსთ-ს უმაღლესი ორგანოებია სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობათა მეთაურების საბჭოები. მისი შექმნა მიზნად ისახავდა პოსტსაბჭოთა სახელმ წიფოებს შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო თანამშრომლობის განვითარებას. მის განვითარებაში მნიშვნელოვანი იყო 1993 წლის სექტემბერში ხელშეკრულება, ეკონომიკური კავშირის შესახებ, ასევე 1994 წლის აპრილში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები რეგიონში ვერ არიან მშვიდობის გარანტორნი, მათ უჭირთ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა რეალური პრობლემების აღმოსაფხვრელად. ამას რასაკვირველია ხელს უწყობს ის არამდგრადი

გარემო და პირობები, რომელიც შექმნილია რეგიონში. ამ ორგანიზაციებს აგრეთვე, არ გააჩნიათ შესაბამისი რესურსები და პოლიტიკური ძალაუფლება, რათა მოახდინონ მშვიდობის დამყარება რეგიონში. ნატოს, როგორც მსოფლიოში მშვიდობის გარანტის მთავარი ფუნქციაა დაამყაროს და შექმნას პირობები, რათა სახელმწიფოებს შეექმნათ განვითარების მაღალი დონე და მათთვის ქმნის კიდევაც შესაბამის პროგრამებს, ხოლო უმრავლეს მათგანთან კი აქვს ინდივიდუალური თანამშრომლობის მექანიზმები. რეგიონში არსებული არამდგრადი გარემო სუსტ სახელმწიფოებს უბიძგებს ითანამშრომლონ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან და მათგან მიიღონ დახმარებები, რათა თავიდან აიცილონ მოსალოდნელი შედეგები. რა თქმა უნდა ეს თანამშრომლობა დამყარებულია ორმხრივ ინტერესებზე და ორივე მხარე ცდილობს მიიღოს გარკვეული სახის ბენეფიტები, რომელიც აღიზიანებს და თანხვედრაში ვერ მოდის რეგიონის ძლიერ სახელმწიფოებთან, რაც მათ დაპირისპირებას განაპირობებს კავკასიის რეგიონში.

2.3. თანამშრომლობის შემაფერხებელი გარემოებები შავი ზღვის რეგიონის დაპირისპირებულ სახელმწიფოთა გათვალისწინებით

პირველ რიგში ნატოს ინტერესია ხაზგასასმელი რეგიონთან მიმართებაში, მაშინ როდესაც 2004 წელს მოხდა ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანება ალიანსში, სწორედ ამ პერიოდიდან იქცა რეგიონულ აქტორად ნატო, შესაბამისად პრიორიტეტი გახდა რეგიონის უსაფრთხოების დაცვა. შავი ზღვის როლი ნატოსათვის განიხილება როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონი, ვინაიდან სამხედრო თვალსაზრისით მას დიდი ადგილი უჭირავს ევროპული კოლექტიური თავდაცვის სისტემაში. ტერორიზმის საფრთხე, აღმოსავლეთში მომხდარი მოვლენები (სირიის კონფლიქტი)

ნატოს უბიძგებს იმისაკენ, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესოს მისი პოზზიციები შავი ზღის რეგიონში.

ყირიმის ანექსიის შემდეგ კი შავი ზღვის რეგიონმა პრიორიტეტული ადგილი დაიკავა ნატოს დღის წესრიგში და იგი დაუკავშირდა ალიანსის სასიცოცხლო ინტერესებს. ამის დასტურია ჩრდილოატლანტიკური საბჭოსა და საპარლამენტო ასამბლეაში მსჯელობა აღნიშნულ საკითხებზე მაღალი დონის ფორმატებში.

რეგიონში ძალთა ბალანსის დარღვევამ ნატოს რეგიონული უსაფრთხოების ჩამოყალიბებისაკენ უბიძგა. ნატო რეგიონში არსებული ყველა აქტორის მონაწილეობას განიხილავს კოლექტიული უსაფრთხოების ფონზე.

ნატოს 21-ე საუკუნეში არაერთი ინიციატივა ჰქონდა შავი ზღვის აუზთან მიმართებაში, რომელთაგან აღსანიშნავია , ნატოს სურვილი შავი ზღვის აუზში ემოქმედა Operation Active Endeavour- ის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენდა პირდაპირ პასუხს 2001 წლის ტერორისტულ აქტზე. მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდა თურქეთისა და რუსეთის მხრიდან. აგრეთვე ნატოს პარტნიორობის სამოქმედო გეგმა და ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, შეგვიძლია განვიხილოთ ნატოს აქტიურობის მაგალითებად. ყირიმის ანექსიის შემდეგ ნატო იძულებული გახდა ემოქმედა საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად, რომელიც აისახა „მზაობის სამოქმედო გეგმაში“ აისახა, 2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე.

ამას მოჰყვა ნატოს სამხედრო წარმომადგენლობის ზრდა შავ ზღვაში, რომელიც აისახა დაგეგმილზე 2-ჯერ მეტი რაოდენობის სამხედრო წვრთნების ჩატარებაში. აგრეთვე გაიზარდა ნატოს წარმომადგენლობა აშშ-ს გემების შემოსვლით რეგიონში, ნატოს ფლოტს დაემატა 2 ამერიკული საზღვაო გამანადგურებელი, რომელთა დანიშნულებას ბალისტიკური თავდაცვის უზრუნველყოფა. ნატოს ყოველწლიური სამხედრო წვრთნა „ზღვის ბრიზი“ 1997 წლიდან ხორციელდება, მაგრამ კრემლმა 2014 წელს საზღვაო წვრთნები დაამთხვია კონკრეტულად იმ პერიოდს, როცა ნატოს წვრთნა ხორციელდებოდა, შესაბამისად ამან განაპირობა შესაძლო დაპირისპირების მაღალი ხარისხი იმ პერიოდში.

ნატოს აქვს სურვილი მრავალეროვნული საზღვაო ძალის ჩამოყალიბებისა როგორც ალიანსის წევრ (ბულგარეთი, თურქეთი, რუმინეთი), ასევე პარტნიორ (საქართველო და უკრაინა) მონაწილეობით. 2017 წლის 10 ოქტომბერს გენერალურმა მდივანმა შავ ზღვაში ნატოს ფლოტი მოინახულა და აღნიშნა „ნატო აქარ ის, ნატო ძლიერია და ნატო ერთიანია“. 2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებულ იქნა კომუნიკე, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი შავი ზღვის რეგიონს უჭირავს, ხოლო რუსეთის მისამართით აღნიშნულია, რომ მისი ქმედებები მოიცავს პროვოკაციულ ხასიათს. ამასთან ერთად ნატო მიზნად ისახავს გააძლიეროს სამხედრო წარმომადგენლობა სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში.

2017 წლის ბუქარესტის ასამბლეის ფარგლებში მიიღეს რეზოლუცია - „სტაბილურობა და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“, რომელიც გერმანელმა დეპუტატმა ულა შმიდტმა მოამზადა, რომელშიც საუბარია რუსეთის შეკავებაზე, შავ ზღვაზე უსაფრთხოების გაზრდაზე და ამ კუთხით საქართველოსა და უკრაინის როლზე. კიდევ ერთხელ დაიგმო რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია.

რუსეთის პოლიტიკა შავ ზღვაში „ძლიერი სახელმწიფოს“ იდენტობით განისაზღვრება. 2000 წლიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მულტიპოლარულ სამყაროში თავისი როლის და მნიშვნელობის განსაზღვრა და არც თუ ისე მოკრძალებული როლისა. რუსეთის მხრიდან ხშირად ისმის უკმაყოფილება არსებული მსოფლიო წესრიგის წინააღმდეგ, შესაბამისად მათი მიზანია ევროპაში ნატოს მონოლიისათვის ხელის შეშლა და გაფართოების აღკვეთა. ამისათის მისთის აუცილებელია შავი ზღვის რეგიონი იყოს მისი გავლენის სფეროში, ამის დასტურია ნატოს არწევრი სახელმწიფოების მიმართ განხორციელებული აგრესია, რაც მოულოდნელობა შესაძლოა სულაც არ იყოს იმის გათვალისწინებით, რომ შავი ზღვის რეგიონს იგი საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევს. რომელიც ნათლადაა გამოხატული დსთ-ს კონცეფციაში. რუსული ნარატივის შესაბამისად, შავი ზღვის ქვეყნებთან მას აკავშირებს საერთო ისტორიული წარსული და კულტურული მემკვიდრეობა. გარდა

ამისა, შავი ზღვა არის ერთადერთი თბილი ზღვა (რომლის პორტები არ იყინება და წელიწადის ყველა დროს არის შესაძლებელი მათი გამოყენება), რომლის გამოყენება რუსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. 2003 წელს ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა რომ „აზოვისა და შავი ზღვის რეგიონები არის რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფერო“, რომელსაც თან ერთვის სატრანზიტო მარშრუტები.

რუსეთის საგარეო პოლიტიკა 2 ძირითად სასიცოცხლო ამოცანას ისახავს შავი ზღვის რეგიონში: 1) ევროკავშირისა და ნატოს გაფართოების შეჩერება და საკუთარი გავლენის შენარჩუნება; 2) საზღვაო ძალების განვითარება შავ ზღვაზე საკუთარი ძალის დემონსტრირებისათვის. რეგიონის მილიტარიზაცია წარმოადგენს წინ აღუდგეს დასავლეთის ინტერესებს შეაკავოს რუსეთის ინტერესები. აღსანიშნავია ეროვნული საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც დათარიღებული 2015 წლით და მისი მიზანია რუსეთის მრავალრეგიონულ საზღვაო ძალად ჩამოყალიბება.

მონტროს კონვენცია სრულ თანხვედრაში მოდის რუსეთის ინტერესებთან, რომელიც პრივილეგიებულ მდგომარეობაში აყენებს რუსეთს. რუსეთი აქტიურად ეწინააღმდეგება შავ ზღვაში ნატოს ინიციატივებს და მის ნებისმიერ ქმედებას განიხილავს თავის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად. რუსეთის ელჩის შეფასებით ნატოს სამხედრო შენაერთების ზრდა რეგიონში ეს არის ახალი ცივი ომის წინაპირობა და აიძულებს რუსეთს დაიცვას მისი ეროვნული ინტერესები.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთი ფლობს ბირთვული შესაძლებლობების იარაღსა და ბირთვულ პლატფორმას შავი ზღვის აუზში. ყირიმის ანექსიით რუსეთმა ხელში ჩაიგდო სევასტოპოლის პორტი, რომელიც დიდი მნიშვნელობის მატარებელია რუსეთის საზღვაო ძალებში, მხოლოდ ის რად ღირს, რომ სევასტოპოლშია განთავსებული შავი ზღვის ფლოტის 80 %. ის ასევე გაუყინავი ნავსადგურია. ყირიმის ნახევაკუნძულზე რუსეთს ასევე აქვს ფეოდოსიის პორტი, რომელსაც შუძლია დაიტიოს რუსეთის საზღვაო ძალების 20%. ყირიმის ანექსიის მნიშვნელობას უსვამს ხაზს ეს ფაქტორიც, რომ რუსეთის საზღვაო ზალების 90% სწორედ ყირიმის ნახევარკუნძულზეა კონცენტრირებული. ასევე აღნიშნულ რეგიონში რუსეთის წყალქვეშა ფლოტს დაემატა

ექვსი კიფო-კლასის წყალქვეშა ნავი, რომელზედაც შესაძლებელია განთავსდეს „კალიბრის“ ტიპის სარაკეტო სისტემები.

რუსეთის შეიარაღების შესყიდვების პროგრამის თანახმად, იგი აპირებს განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის დახარჯვას საზღვაო ძალის გაუმჯობესებისათვის, რომელიც გათვლილია 2011-2020 წლებისათვის. რომლის საერთო მოცულობა 112,4 მლრდ. ევროა. 2014 წლის დეკემბერში რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით 80 ახალი გემი დაემატება 2020 წლისათვის შავი ზღვის ფლოტს, ასევე დაგეგმილია სევასტოპოლისა და ნოვორასიისკის საზღვაო ბაზების გაძლიერება. ამ სტრატეგიის თანახმად, რუსეთი ყველაზე ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ იქცევა შავ ზღვაში. ეს დოკუმენტი დასტურია იმისა, რომ რუსეთის გაძლიერება რეგიონში მიმართულია ნატოს გაფართოების ხელის შეშლისაკენ.

შავი ზღვის რეგიონს თურქეთისათვის დიდი სატრანსპორტო, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და ენერგეტიკული მნიშვნელობა აქვს, რომელიც 1990-იანი წლებიდან ენერგეტიკული დერეფნების, ცისფერი ნაკადის მილსადენის და მომავალი ენერგო მარშრუტების გათვალისწინებით კიდევ უფრო გაიზარდა.

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების კონტროლი თურქეთისათვის მნიშვნელოვანია, მისთვის რეგიონი არის სიძლიერის, გავლენის და საერთაშორისო იმიჯის წყარო. ყირიმის ანექსიის პირველივე პერიოდში თურქეთი აღშფოთებული იყო რუსეთის ქმედებით რეგიონში, რასაც ერდოღანის განცხადებაც მოწმობს, სადაც ის აღნიშნავს, რომ განხორციელებული აგრესიის შემდეგ შავი ზღვა “რუსეთის ტბად“იქცა და ის მოელოდა საპასუხო ქმედებებს ალიანსის მხრიდან.

აღსანიშნავია, თურქეთის პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები და როცა მათ შორის ურთიერთობები ნორმალიზებულია, თურქეთისათვის მიუღებელია არარეგიონული აქტორების ჩართვა რეგიონში. ბოლო პერიოდში, მას შემდეგ, რაც თურქეთმა მოახერხა საერთო ენის გამონახვა რუსეთთან, შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების განხილვამ თურქეთისათვის საერთაშორისო ფორმატებში აქტუალურობა დაკარგა.

1990-იანი წლებიდან თურქეთი აქტიურად მონაწილეობს რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში, რომლის ფარგლებში აღსანიშნავია შავი ზღვის თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკის) შექმნის ინიციატივა.

თურქეთის სამხედრო გავლენის ზრდას წარმოადგენს სხვადასხვა ინიციატივები შავი ზღვის აუზში. მათ შორის უპრიანია პირველად დავასახელოთ არაპერმანენტული სამხედრო ძალა BLACKSEAFOR, აგრეთვე საზღვაო ოპერაცია Black Sea Harmony, რომლის მიზანი ტრეფიკინგის, ტერორიზმისა და უკანონო იარაღით ვაჭრობის შემცირებაა.

თურქეთის პოზიციები შავ ზღვაზე გამყარებულია მონტროს კონვენციით, რომელზეც ვერც 11 სექტემბრის შემდეგ შექმნილმა მოვლეენებმა ვერ იმოქმედა. ის შეეწინააღმდეგა 2006 წლის იანვარში Operation ActiveEndeavour-ის ფარგლებში ნატოს მოქმედებებს შავ ზღვაში და ეს მონტროს კონვენციის დაცვის მოტივით ახსნა. ამავე მოტივით, მან უარი განაცხადა აშშ-ს გემების მიღებაზე 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს დროს, რომელიც აჭარბებდა შესაბამის წონას, რომელიც საუბარია მონტროს კონვენციაში. 2014 წელს კი ყირიმის კრიზისის ფონზე სერგეი ლავროვმა თურქეთი დაადანაშაულა კონვენციის დარღვევაში, რადგან მან ნება დართო ამერიკულ გემებს განსაზღვრულ 21 დღეზე მეტი დარჩენილიყვნენ.

თურქეთი რეგიონალური სტატუსის შესანარჩუნებლად ცდილობს დააბალანსოს რუსეთი, სწორედ აქედან გამომდინარეობს მისი მხარდაჭერა საქართველოსა და უკრაინის მისამართით, რომ ისინი გახდნენ ნატოს წევრი სახელმწიფოები. ყურადრებამისაქცევი ფაქტია ისიც, რომ 2015 წელს თურქეთის საზღვაო ძალები მნიშვნელოვნად აღემატებოდა რუსეთის საზღვაო ძალებს შავ ზღვაში. მაგრამ როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეს განსხვავება 2020 წლისათვის აღარ იარსებებს.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრ სახელმწიფოს წარმოადგენს ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა განსხვავებული ინტერესები და შეხედულებები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ნატოსა და თურქეთის გზები გარკვეულ ასპექტებში გაიყო, რის საპასუხოდაც დაახლოვდა თურქეთისა და

რუსეთის ფედერაციის ინტერესები, რომელიც რასაკვირველია შეშფოთებას იწვევს დასავლურ საზოგადოებაში, გამომდინარე შავი ზღვის მნიშვნელობისა გეოპოლიტიკურ პრიზმაში.

ნატოსა და რუსეთის დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეს ნატოს გაფართოებაა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი, ხოლო შემდგომ რუსეთის ფედერაცია ცდილობს შეაჩეროს ნატოს გაფართოების პოლიტიკა. ნატომ რუსეთთან თანამშრომლობა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. ეს აუცილებელი გახდა უსაფრთხოების სისტემისათვის, რომელიც უნდა შექმნილიყო ცივი ომის შემდგომ პერიოდში ევროპაში. ნამდვილი საფუძველი ჩაეყარა მათ თანამშრომლობას 1997 წლის 27 აგვისტოს ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტით. შეიქმნა ნატო-რუსეთის მუდმივი ერთობლივი საბჭო, როგორც უსაფრთხოების საკითხებზე კონსულტაციის ფორუმი.

დამფუძნებელ აქტში ასახული მიზნები სრულად ვერ განხორციელდა, რასაც დაემატა განსხვავებული პოზიცია კოსოვოს კრიზისთან დაკავშირებით, რომელსაც დაერთო ალიანსის საჰაერო კამპანია, რამაც საბოლოოდ სხდომების ერთი წლით გადადება გამოიწვია. ნატოს ახალი დილემა გაუჩნდა, მიეღწია კონსესუსისთვის, რომელსაც მოჰყვა კიდეც ფინანსურ-ეკონომიკური დახმარებების გაზრდა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო რუსეთთან თანამშრომლობის გააქტიურება ნატოს გაფართოების პარალელურად. აგრეთვე უნდა გაეზარდათ ეკონომიკური დახმარება მოსკოვისათის.

თანამშრომლობის პრიორიტეტები მოსკოვს სურდა აესახა სპეციალურ დოკუმენტში, რომელსაც იურიდიული ძალა ექნებოდა, აგრეთვე მოსკოვი ითხოვდა ახალ გაწევრიანებულ სახელმწიფოებში არ მომხდარიყო ბირთვული იარაღისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება.

1996 წელს ოთხთვიანი მოლაპარაკებების შედეგად ნატოს გენერალულ მდივანს ჰავიერ სოლანასა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი პრიმაკოვს შორის შეთანხმება მიღწეულ იქნა და ხელი მოეწერა „დამფუძნებელ აქტს ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ორმხრივი ურთიერთობის, თანაშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ“.

2002 წლის ივნისში რუსეთმა და ნატომ ხელი მოაწერს რომის დეკლარაციას, რომლითაც მოხდა ჩანაცვლება თანამშრომლობის ახალი ფორუმით - ნატო-რუსეთის საბჭოთი. ამ საბჭოს ინტერესებში შედის:

- ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ;
- კრიზისების მართვა;
- მასობრივი განადგურების იარღის გაუვრცელებლობა;
- სამხედრო თანამშრომლობა;
- შეიარაღებაზე კონტროლი;
- თავდაცვის რეფორმა;
- სამეცნიერო თანამშრომლობა;
- სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა და სხვა.

2004 წლის დეკემბერში მხარეებმა დაამტკიცეს გეგმა ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ, რის საფუძველზეც მხარს უჭერს რუსეთი ნატოს ოპერაციას „აქტიური ძალისხმევა“ (active endover) ხმელთაშუა ზღვაში. მომდევნო წელს ასევე ხელი მოეწერა შეთანხმება ძალების სტატუსის შესახებ (SOFA), რომელიც საშუალებას იძლევა ერთობლივი ქმედებებისა ერთად ებრძოლონ უსაფრთხოების საერთო გამოწვევებს.

რუსეთი და ნატო იღებდნენ ვალდებულებებს ნდობაზე და პატივისცემაზე, არცერთ მხარეს არუნდა მიეღო „მოულოდნელი“ გადაწყვეტილება (რომელიც დარღვეულ იქნა რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში), რომელიც გავლენას იქონიებდა მეორე მხარეზე.

რუსეთი შეშფოთებულია ნატოს გაფართოების პროცესით. ალიანსის პრობლემა სწორედ არასტაბილურ რუსეთში მდგომარეობს. ცივი ომის შემდგომ არსებული პრობლემები, როგორებიც იყო ეთნიკური კონფლიქტები, ტერორიზმი, რელიგიური ექსტრემიზმი არანაკლები საფრთხის შემცველი იყო ალიანსისთვის, ვიდრე რუსეთთან ურთიერთობა. ანიანსი ერიდებოდა ამის ფონზე რუსეთის გაღიზიანებას, მაგრამ გაფართოების პოლიტიკა მისთვის მაინც მნიშვნელოვან ასპექტად რჩებოდა, რადგან სტაბილური აღმოსავლეთ ევროპა დადებით განწყობას შექმნიდა რეგიონში.

2007 წლის 14 დეკემბრიდან რუსეთმა ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულებაზე მორატორიუმი აამოქმედა. რომლის თანახმად, ქვეყნებს საბრძოლო ტექნიკა უნდა შემცირებინათ: ჯავშანმანქანები, ტანკები, მოიერიშე ვერტმფრენები და არტილერია. ხოლო უფლება დაიტოვა საზღვრებს გარეთ და მის ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ბაზებზე ტექნიკის გნლაგების შესახებ აღარ ეცნობებინა საერთაშორისო ექსპერტებისათვის.

ნატო-რუსეთის დაპირისპირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია 2007 წლის მიუნხენის საერთაშორისო კონფერენცია, როდესაც პრეზიდენტმა პუტინმა აშშ „ერთპოლარული“ მსოფლიოს დამყარებაში დაადანაშაულა. რაზეც სენატორმა მაკკეინმა უპასუხა „ეს იყო ყველაზე აგრესიული სიტყვა, რომელიც კი რუსეთის ლიდერს ცივი ომის შემდეგ წარმოუთქვამს“.

რუსეთის გაღიზიანების მიზეზები იმ პერიოდისათვის შემდეგი იყო:

- ერაყში სამხედრო კონტიგენტის გაზრდა;
- ირანელი აგენტების წინააღმდეგ ქმედებების გააქტიურება ერაყში;
- სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფნა სპარსეთის ყურეში;
- პერლ-ჰარბორიდან უმსხვილესი მცურავი რადიოლოკაციური სადგურის გადანაცვლება კამჩატკისკენ;
- პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებაზე მოლაპარაკება;
- აშშ-ს შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის ზრდა .

აგრეთვე გასათვალისწინებელია ნატო-რუსეთის ურთიერთობაში ისეთი ფაქტორის გაანალიზება როგორიცაა ენერგეტიკა. ნატო გაზის ალტერნატიულ წყაროებზე გადასხვლას ურჩევს ევროპის ქვეყნებს. ვინაიდან და რადგან ენერგოუსაფრთხოება გადამწყვეტ როლს თამაშობს როგორც უსაფრთხოების ასევე გეოპოლიტიკურ საკითხებში.

2006 წლის რიგის სამიტის შემდგომ განისაზღვრა ორი ფაქტორი ენერგოპოლიტიკაში. ესენია: მიღებული დეკლარაციის ერთ-ერთი პარაგრაფი ხაზს უსვამს ენერგოუსაფრთხოების საკითხის მნიშვნელობის ზრდას და მეორე ეს დეკლარაცია ალიანსს საკუთარი როლის გაცნობიერების მანდატს ანიჭებს.

2008 წელს კი ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა ენერგოუსაფრთხოება კოლქტიურ საფრთხედ მიიჩნია, რომელიც თავისთავად კოლექტიურ რეაგირებასა და მთავრობებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას საჭიროებს.

ნატოს წევრი სახელმწიფო თურქეთი, რომელიც ასევე შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთი მთავარი აქტორია ნატოს წევრი გახდა მისი პირველი გაფართოებისას. გამომდინარე იქედან, რომ თურქეთი სტრატეგიული თვალსაზრისით ნატოსთვის მნიშვნელოვან მოკვშირეს წარმადგენდა. ის იყო დამაკავშირებელი რგოლი, რომელიც ესაზღვრებოდა საბჭოთა კავშირს, ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, სწორედ ამიტომ რომ არ მომხდარიყო თურქეთის საბჭოთა კავშირში შესვლა თურქეთმა მიიღი მარშალის გეგმით გათვალისწინებული ბენეფიტები და მოგვიანებით ის სრულუფლებიანი წევრი გახდა ალიანსისა. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის შემდეგ, სწორედ თურქეთია ყველაზე დიდი შეიარაღებით წარმოდგენილი ალიანსში გასაკვირი არაა, რომ იგი აქტიურად მონაწილეობა ალიანსის მისებში. ის ასევე ჩართული იყო კოსოვოს მისიებში, ასევე ერაყის, ლიბიის, ავღანეთის მისიაში.

თურქეთი დღესაც აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა მისიებში, ასევე შეუცვლელია მისი როლი ხმელთაშუა ზღვის პატრულირებისას მიგრანტების კონტროლისა. ის ერთ-ერთი აქტიური წევრია ალიანსისა.

2015 წლის ნოემბერში სირია-თურქეთის საზღვართან რუსული მზვერავის ჩამოგდებამ, რუსეთ-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია, რამაც თავისთავად ასახვა ჰპოვა ნატო-რუსეთის ურთიერთობებშიც. ამას თან დაერთო 2016 წლის 15 ივლისს ერდორანის წინააღმდეგ აქციები და შემდგომ შეტაკებებ, რომლის დროსაც გარდაიცვალა 300, ხოლო დაშავდა 2100 ადამიანი. მიზეზად კი ადამიანის

უფლებათა უხეში დარღვევები დასახელდა, მაგრამ ფაქტია რომ თურქეთის იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე მკვეთრად დაეცა

ამ ინციდენტის შემდეგ ნატომ გადაწყვიტა გადაეხედა ურთიერთობისათვის თურქეთთან მიმართებაში, მაგრამ ის კვლავ რცება ნატოს ერთ-ერთ ძლიერ მოკავშირედ როგორც ალიანსის შიგნით ასევე რეგიონში. ასევე თურქეთს გართულებული ურთიერთობა აქვს აშშ-სთან, რომელიც თურქეთის ბრალდებით მფარველობს ფეტულა გულენს, რომელიც თურქეთის შეხედულებებით გადატრიალების მთავარი ორგანიზატორი იყო. აგრეთვე თურქეთი აწარმოებს საომარ მოქმედებებს ქურთებთან, რაც დამატებითი პრობლემაა ნატოსთვის რუსეთთან დაძაბული ურთიერთობების ფონზე.

მხოლოდ ნატოს უკმაყოფილებით არ შემოიფარგლება აღნიშნული საკითხი, თურქეთი უკმაყოფილოა ნატოს პოზიციით გადატრიალების შემდგომ, რომელიც მოელოდა ნატოს მხარდაჭერას. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ალიანსმა და ნატომ იცოდნენ რა ხდებოდა ქვეყანაში და საფრთხეები ელოდა ქვეყანას, მაგრამ ვერ დაეხმარნენ მას. სწორედ ამიტომ მან განაცხადა, რომ თურქეთი აღარ ენდობა ნატოს და ელოდება ქმედით ნაბიჯებს ალიანსის მხრიდან, რადგან აღდგეს ნდობა მათ შორის. რასაც მოჰყვა თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯეფ ტაიპ ერდოღანის განცხადება, სადაც ის ბოდიშს იხდის რუსული მზვერავის ჩამოგდებაზე და აცხადებს, რომ რუსულ-თურქული ურთიერთობები უნდა აღდგეს. გადატრიალების შემდგომ თურქეთმა იცვალა გეზი და აზიისკენ შებრუნდა, ამის ნათელი დადასტურებაა ნატოსა და აშშ-ს გარეშე გაფორმებული შეთანხმება სირიაში მშვიდობის დამყარების მოტივით, რომელიც გაფორმდა რუსეთს, თურქეთს და ირანს შორის. თუმცა თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა, ამ ფაქტს თურქული მხარე აფასებს პროვოკაციად და მიზანმიმართულ ქმედებად, რათა გაუარესდეს ურთიერთობები თურქეთსა და რუსეთს შორის.

რეგიონში არსებულ დაძაბულობის ფონზე აუცილებელია გამოიკვეთოს საქართველოს ინტერესები და პერსპექტივები. როგორ უნდა იმოქმედოს საქართველომ და რა როლი უნდა ეჭიროს მას შავი ზღვის აუზში არსებულ ინტერესთა კონფლიქტის ფონზე.

საქართველოსათვის გეოგრაფიული თვალსაზრისით შავი ზღვა ერთადერთი შეხების წერტილია ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან, რომელშიც ინტეგრაცია მისი საგარეო პოლიტიკური ამოცანაა.

საქართველოს სურვილი იქცეს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ნაწილად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მას სურს თავი დააღწიოს რუსეთის გავლენასა და პოსტსაბჭოთა სივრცის მიკუთვნებულობას. თუმცა რეგიონში არსებული სხვა ძლიერი სახელმწიფოების გათვალისწინებით, მას უჭირს საკუთარი ინტერესების გატარება. თურქეთისა და რუსეთის სამხედრო უპირატესობა და მათი მონოპოლია შავ ზღვაზე ნაკლებ შანსებს ტოვებს საქართველოსათვის, რომ ის იყოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღები. მაგრამ ნატოს გააქტიურება შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხში საქართველოსათვის პრიორიტეტულია და იგი ჩართულია ალიანსთან ერთად საკუთარი ინტერესების დაცვაში.

თავი III. ნატოს პოლიტიკური მიზნები შავი ზღვის რეგიონში მშვიდობის დამყარების პროცესში

3.1. შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პროექტები და მათი მნიშვნელობა რეგიონის უსაფრთხოების დაცვაში

თანამედროვე პერიოდში ენერგომატარებლების საკითხს საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. გამომდინარე აქედან, როგორც გაზისა და ნავთობის, ასევე სხვა ენერგეტიკული რესურსების კონტროლისადმი სწრაფვა სხვადასხვასა ხელმწიფოებს შორის პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა.

ენერგოუსაფრთხოება და ენერგეტიკული პოლიტიკა აქტუალური და მწვავე გახდა მთელი მსოფლიოსათვის. იმის გამო, რომ მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა იზრდება და გაცილებით მეტ ენერგორესურსს იყენებს, რომელიც ერთის მხრივ ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ საფრთხეს უქმნის და აბრკოლებს ენერგომომხმარებელი ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას. ვინც ფლობს ენერგორესურსებს ან ხელი მიუწვდება მის კონტროლზე ცდილობენ ეს უპირატესობა საგარეო პოლიტიკის იარაღად აქციონ. ენერგოპოლიტიკა დღეს ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების ქვაკუთხედია.[5]

გამონაკლისი არც შავი ზღვის რეგიონია და ისეთი ძლიერი აქტორის, როგორიც რუსეთია საგარეო პოლიტიკა ძირითადად ენერგორესურსებზე აქვს დამყარებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იგი მუდმივად ცდილობს გავლენის შენარჩუნებას კავკასიის რეგიონში, რომელიც აშშ-ს ინტერესების გაძლიერებაში და ნატო-ს გაფართოებაში თავისი ნაციონალური ინტერესების საფრთხეს ხედავს.

XXI საუკუნიდან რუსეთმა თავის კავკასიურ პოლიტიკაში, უშუალო სამხედრო ჩარევების ნაცვლად პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად ენერგომატარებლების გამოყენება დაიწყო. რუსული ენერგოკომანიების სტრატეგიას მათზე სახელმწიფოს კონტროლი განაპირობებს, რომელიც გეოპოლიტიკური ინტერესების გამტარებლად აქცევს მას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს კონკრეტულად კავკასიის რეგიონში არსებული ენერგეტიკური რესურსები და პირველ რიგში ნავთობი, რომელიც აზერბაიჯანის

[5] იაშვილი, თ., &იაშვილი, ი. (2008). რუსეთი საგრესიული ენერგრტიკული პოლიტიკა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. *ხელისუფლება და საზოგადოება* , გვ. 157-174.

ტერიტორიაზე მოიპოვება და მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და სახელმწიფოთა ინტერესები კავკასიის რეგიონში.

ნაცისტურმა გერმანიამ, რომელსაც მსოფლიო ბატონობაზე თავისი პრეტენზიები გააჩნდა, გათვალა, რომ მისი და მისი მოკავშირეების მიერ დაახლოებით 805 ათასი ტონა ნავთობი მასშტაბური ომის საწარმოებლად არასაკმარისი იქნებოდა. სწორედ ამიტომ, ვერმახტის არმიის სარდლობას გააჩნდა სურვილი, რათა ნავთობზე საკუთარი მოთხოვნილება სხვაქვეყნების დაპყრობის ხარჯზე დაეკმაყოფილებინა. მაგალითად, რუმინეთის ნავთობსარეწების დაუფლებამ, იმ პერიოდში (1939-1940 წწ.) როდესაც ეს ქვეყანა წელიწადში 5,5 მილიონ ტონა ნავთობს მოიპოვებდა, ასევე არასაკმარისი აღმოჩნდა ჰიტლერული ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

1939 წელს, თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერის შემდეგ, ნაცისტური გერმანია საბჭოთა ნავთობის ექსპორტის მიმართ დიდ ინტერესს იჩენდა. 1940 წელს, საბჭოთა ნავთობის ექსპორტის 75 პროცენტის რეალიზება გერმანულ ენერგეტიკულ ბაზარზე ხორციელდებოდა. იმ პერიოდში, ბაქო და ჩრდილოეთ კავკასია სსრკ-ის მთელი ეკონომიკისათვის ნავთობის მთავარ მიმწოდებლებს წარმოადგენდნენ. შესაბამისად, სსრკ-ში წარმოებული ნავთობის 80% აზერბაიჯანის სსრ-ში მოიპოვებოიდა. იმ პერიოდში, ურალში, ვოლგისპირეთში, ცენტრალურ აზიასა და ყაზახეთში ნავთობის მოპოვება მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდა.

გერმანია-სსრკ-ის ომის დროს, ჰიტლერის სარდლობა ბაქოს სანავთობო რესურსებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა: კავკასიაზე შეტევის დროს, ნაცისტური გერმანია ნავთობისა და გაზის რაიონების ხელში ჩაგდებას ცდილობდა. გარდა ამისა, ცნობილია, რომ 1941 წლის სექტემბერში, ვერმახტის არმიამ მოსკოვის მიმართულებით სვლა დროებით შეაჩერა, რადგანაც იმ დროს გერმანიის ხელისუფლება მთავარ პრიორიტეტად აზერბაიჯანის ნავთობსაბადოების ხელში ჩაგდებას განიხილავდა. თუმცა, როგორც ცნობილია, აღნიშნული გეგმები ვერ განხორციელდა.

იმის შესახებ, თუ რამდენად სერიოზულად უდგებოდნენ გერმანელები კასპიის ზღვის რეგიონში არსებული ნავთობსაბადოების ხელში ჩაგდებას, მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უკვე ომის დასაწყისში, გერმანიაში ორი სანავთობო კომპანია დაფუძნდა: «Ost-Öl» და «Karpaten-Öl», რომლებმაც ექსკლუზიური უფლება მიიღეს კავკასიაში 99-წლის განმავლობაში სანავთობო სარეწების ექსპლუატაციის შესახებ.

აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად, აღნიშნულმა ფირმებმა დიდი რაოდენობით მილები შეიძინეს, რომლებიც საბოლოო ჯამში საბჭოთა კავშირში იქნა ტრანსპორტირებული, სადაც ისინი მოგვიანებით გამოიყენეს.

ნაცისტებმა სპეციალური ეკონომიკური კომისიაც ჩამოაყალიბეს, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი ნიდერფურგი ხელმძღვანელობდა, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე ჭურვების ჩამოყრა ნავთობმომპოვებელ ობიექტებზე სასტიკად იკრძალებოდა.

1941 წელს, აზერბაიჯანში ნავთობის რეკორდული რაოდენობა იქნა მოპოვებული - 23,5 მილიონი ტონა. აღნიშნულ პერიოდამდე აზერბაიჯანის სანავთობო მრეწველობას ასეთი შედეგებისათვის არ მიუღწევია. ნავთობის გადამუშავების გეგმა იმ წელს 122,8 პროცენტით, ხოლო ბენზინის წარმოების გეგმა - 118 პროცენტით იქნა შესრულებული.

თუმცა, 1942 წელს ნავთობის მოპოვების შემცირება დაიწყო. იმავე წლის ივლისში, გერმანიის ჯარების სტალინგრადის რაიონში შეტევის გამო, შეჩერებულ იქნა მდინარე ვოლგაზე გემების მიმოსვლა. მთავარი სარკინგზო ხაზები, რომლის ფარგლებშიც ნავთობი და ნავთობპროდუქტები ბაქოდან ფრონტზე იგზავნებოდა, გერმანიის ჯარების მიერ იქნა გადაკეტილი. იმავე წელს, ვერმახტის არმიის ნაწილები კავკასიის კარიბჭეს მოადგნენ - ისინი ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, შესაბამისად, თვითონ ბაქო და მთელი კავკასიის რეგიონი დაპყრობის საშიშროების წინაშე იმყოფებოდა.

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ნავთობის ფრონტის ხაზისთვის მიწოდების გზა გერმანელების მიერ იქნა გადაკეტილი, აუცილებლობას წარმოადგენდა სტალინგრადის რაიონის ნავთობრპოდუქტებით უზრუნველყოფის ალტერნატიული გზების ძიება. პირველად მსოფლიო პრაქტიკაში, რკინიგზის ცისტერნების ტრანსპორტირება კასპიის ზღვის მეშვეობით ბაქოდან კრასნოვოდსკში, ხოლო იქიდან კი ყაზახეთსა და ცენტრალურ აზიაში და შემდეგ სარკინიგზო ინფრასტრუტურის გამოყენებით სტალინგრადის ფრონტზე ხორციელდებოდა.

1942 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა სახელმწიფოს რთული პერიოდი დაუდგა. სსრკ-ის მხრიდან საომარი მოქმედებების შემდგომი გაგრძელება ბაქოდან ფრონტის ხაზზე ნავთობის მიწოდებაზე გახდა დამოკიდებული. ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალების ბლოკირების გამო, აღნიშნულ პერიოდში დაგეგმილი 6 მილიონი ტონის ნაცვლად, მხოლოდ 1,6 მილიონი ტონა ნედლი ნავთობი იქნა ტრასპორტირებული.

აღნიშნულ რთულ პერიოდში, ბაქოში სარისკო გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომლის განხოციელებას იმ დროს ბაქოელ მენავთობეთა დიდი გადასახლება უწოდეს. 10 ათას ადამიანზე მეტი, ოჯახებთან და სანავთობო აღჭურვილობასთან ერთად გემებით და ბორნებით ჯერ კრასნოვოდსკში, ხოლო იქიდან რკინიგზით - ბაშკირეთის, კუიბიშევის და პერმის ოლქების დაუსახლებელ რაიონებში იქნა გადაყვანილი. აღნიშნულ რეგიონებში აზერბაიჯანელი მენავთობეების მხარდაჭერით ნავთობის მოპოვება იქნა უზრუნველყოფილი. სწორედ ამიტომ, სსრკ-ის აღნიშნულმა რეგიონებმა მოგვიანებით „მეორე ბაქოს“ სახელწოდება მოიპოვეს.

იმ დროს, ნავთობით მდიდარმა აზერბაიჯანმა თავისი საუკეთესო სანავთობო სპეციალისტები დაკარგა, თუმცა მათი ადგილი ახალგაზრდებმა და ქალებმა დაიკავეს. 1942 წელს, რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის სექტორში 25 ათასი ქალი მუშაობდა, ანუ მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 25%. 1944 წელს მათმა პროცენტულმა მაჩვენებელმა უკვე 60-ს მიაღწია.

პოსტსაბჭოთა პერიოდში უფრო აქტუალური გახდა ენერგორესურსების გამოყენება, როგორც პოლიტიკური ბერკეტი საკუთარი ინტერესების გატარებისა. რომელიც ხასიათდებოდა კონფლიქტული ხასიათით, მაგალითისათვის, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები საქართველოში, რომელსაც წინ უძღოდა ნატოს 1999 და 2004 წლის გაფართოება, ამას დაემატა ასევე 2008 წელს შეთავაზება ალიანსში გასაწევრიალებლად კიდევ ორ სახელმწიფოს (ალბანეთი და ხორვატია), ხოლო ევროკავშირში 2007 წელს შავი ზღვის რეგიონის ორი სახელმწიფო - ბულგარეთი და რუმინეთი გაწევრიანდნენ. ეს ყველაფერი კი რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლად ხდებოდა. ამ მოვლენებს ასევე თან დაერო რუსეთის გვერდის ავლით, კასპიისპირეთიდან ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშუტების ძიება და განვითარება. 1994 წელს აზერბაიჯანის მტავრობასა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის გაფორმდა ე.წ. „საუკუნის კონტრაქტი“, რომელიც კასპიის რეგიონში მოპოვებული ნავთობის დასვლეთის მიმართულებით ტრანსპორტირებას ითვალისწინებდა, რეგიონში მოპოვებული რესურსების ტრანსპორტირების მთავარ სატრანზიტო ქვეყნად საქართველო მოიაზრებოდა. ამის შედეგად. 1999 ექსპლუატაციაში შევიდა ბაქო-თბილისი-სუფსის, ხოლო 2005 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები. 2006 წელს კი აგრეთვე ექსპლუატაციაში შევიდა ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. აღნიშნული პროექტების დასრულების შემდეგ რუსეთი გვერდით ავლით დაიწყო ენერგორესურსების მიწოდება დასავლურ ბაზრებზე. აგრეთვე იმ პერიოდში აქტიურად დაიწყო საუბრები „ნაბუქოსა“ და „თეთრი ნაკადის“ პროექტების შესაძლო ამოქმედებაზე. უნდა ღინიშნოს ის ფაქტი, რომ ევროკავშირი ყოველწლიურად დაახლოებით 600 ,ილიარდი კუბური მეტრი ბუნებრიიაირის იმპორტს ახორციელებს, საიდანაც 130 მილიარდი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება რუსეთიდან ხორციელდება.

შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდით, რომ 2008 წლის აგრესიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ენერგეტიკული ფაქტორი იყო.

რუსეთის მხრიდან ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია ნათლად მიუთითებს პუტინის მთავარ მიზანზე, გააძლიეროს საკუთარი

გეოპოლიტიკური გავლენა უკრაინაზე. აღნიშნული მოსაზრების ფარგლებში, რუსეთის ერთ-ერთ მიზანს უკრაინის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევისთვის ხელის შეშლა და უკრაინის, როგორც ენერგეტიკული რესურსების სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციის შეჩერება წარმოადგენს.

საინტერესოა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ზბიგნევ ბჟეჟინსკის მოსაზრება უკრაინასთან დაკავშირებით, რომელიც მან აღწერა 1997 წელს გამოცემულ წიგნში დიდი საჭადრაკო დაფა: „უკრაინის როლი პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებულია, უკრაინის გარეშ აღდგენილი რუსეთის იმპერია უფრო აზიური და ევროპისგან დაცილებული იქნება, უკრაინა მდიდარია თავისი ბუნებრივი რესურსებით, მას მძლავრი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი გააჩნია. გარდა ამისა, უკრაინის ტერიტორიას რუსეთიდან დასავლეთ ევროპაში მიდინარე ნავთობსადენები და გაზსადენები გადაკვეთს. აღნიშნული ფაქტორები იძლევა იმის შსაძლებლობას, რომ 52 - მილიონიანმა უკრაინამრუსეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატაროს, უკრაინას ძალუძს ევროპის ნაწილი გახდეს რუსეთის გარეშეც, ხოლო რუსეთს ამის გაკეთება მხოლოდ უკრაინის მეშვეობით შუძლია“.

რუსეთის ენერგრტიკური რესურსების დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევის მიზნით, საკუთარი პოლიტიკის გატარება უკრაინამ დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლებიდან დაიწყო. 90-იან წლებში კასპიის ზღვის რეგიონისადმი და რეგიონში არსებული ენერგორესურსების მიმართ დიდი ინტერესი გამოხატა. 1998 წლის გაზაფხულზე თურქეთში კონფერენციაზე „შავი ზღვისა და კასპიის ენერგეტიკული მომავალი“, უკრაინის მთავრობამ წარმოადგინა პროექტი, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული ნავთობის ტანკერების საშუალებითშემდგომრე-ექსპორტს ოდესაში, იქიდან კი ნავთოსადენ „დრუჟბით“ მისი ევროპაში ტრანსპორტირება ისახავდა მიზნად.

კავკასიის რეგიონში არსებული ენერგეტიკული პროექტები დიდ როლს ასრულებენ რეგიონში არსებული სახელმწიფოების უსაფრთხოების დაცვაში. ამას მოწმობს

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მილსადენებისა და გაზსადენების არსებობა რეგიონში, რომელიც არაერთია.

გარდა რეგიონში არსებული სახელმწიფოებისა იკვეთება სხვა აქტორების როლიც, რომლებიც რეგიონის ენრგოუსაფრთხოებას განიხილავენ როგორც საკუარი ინტერესების არეალს და მნიშვნელოვნად თვლიან მას. მაგალითისათვის, აშშ, რომელსაც ნავთობი არასტაბილური რეგიონიდან შემოაქვს, სურს შექმნას ალტერნატიული წყარო კავკასიისა და ცენტრალური აზიის რესპუბლიკების სახით, რათა შეამციროს დამოკიდებულების ხარისხი, როგორც სპარსეთის ყურია ასევე ლათინური ამერიკის ნავთობზე. აგრეთვე მას აქვს ინტერესები, რომელიც ეკონომიკურ ასპექტებში უნდა აისახოს. ვაშინგტონი იმედოვნებს, რომ რეგიონში შესული მისი კომპანიები ხელს შეუწყობენ ეკონომიკური რეფორმების გატარებას და მოახდენენ რეგიონის ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. რომელსაც ასევე მოყვება ვაშინგტონის პოლიტიკური გავლენის გაძლიერება რეგიონში. ევროპის ქვეყნების ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, რომლებიც აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირეები არიან მის გეოპოლიტიკურ ინტერესებში შედის რუსეთისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვოს რეგიონმა ენერგეტიკულ საკითხებში.

რეგიონში არსებობს ენერგოპროექტები, რომლებიც დიდ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებენ რეგიონში არსებულ სახელმწიფოებს. საერთაშორისო აქტორთა დაინტერესებით აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში კიდევ უფო ართულებს რეგიონში არსებულ ვითარებას დაპირისპირებულ სახელმწიფოთა ფონზე. განვიხილოთ ის მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც არსებობს რეგიონში.

ბაქო-სუფსა - საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა 1996 წლის 8 მარტს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც დასავლეთის მიმართულებით ნავთობსადენების მშენებლობა უნდა დაწყებულიყო. ნავთობსადენი კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტს, რომელიც რეგიონის ქვეყნების ინტერესებსაც იცავს. ეს არის დიდი აბრეშუმის გზის აღორძინების მნიშვნელოვანი ელემენტი.

პროექტის თანახმად განხორციელდა პირველადი ნავთობის გადამუშავება და საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირდა სუფსის ტერმინალამდე. შავი ზღვის სანაპირო ზონაში აიგო ტერმინალი და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტი დაიდო 30 წლის ვადით.

მილსადენის მშენებლობის პერიოდში ინტერესი გამოიხატა სხვა სახელმწიფოების მხრიდანაც, ესენი იყვნენ რუმინეთი და უკრაინა. რომლებმაც საკუთარი ინტერესები და ხედვები წარადგინეს ენერგეტიკული მიმართულებებით.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი პროექტმა დიდი დისკუსიის შემდეგ თანხმობა მიიღო 1999 წლის 18 ნოემბერს, რომელსაც მხარს აშშ-სა და თურქეთის მთავრობები უჭერდნენ. მარშრუტი, რომელსაც მილსადენი გადიოდა გვერდს უვლიდა ბოსფორის სრუტეს, მაგრამ მისი ტრანსპორტირება შედარებით ძვირი ჯდებოდა. ექსპერტებს ჰქონდათ ორი სხვა მარშრუტი, რომელიც მოიცავდა შავი ზღვის დასავლეთი სანაპიროდან ბულგარეთისა და საბერძნეთის გავლით ტრანპორტირებას და თუკი სტამბოლიდან თურქეთის ტერიტორიის გავლით ხმელთაშუა ზღვაში გავიდოდა მაშინ ფასი შედარებით იაფი იქნებოდა.

კასპიის ენერგორესურსების ექსპერტს ჯონ დეილს ბაქო-ჯეიჰანის კრიტიკისათვის სხვა მიზეზები ჰქონდა და ეს იყო მისი მარშრუტი, კონკრეტულად თურქეტის აღმოსავლეთ რეგიონი, რომელსაც გადიოდა მილსადენი დასახლებული იყო ქურთებით.

აშშ-ს მხარდაჭერა ბაქო-ჯეიჰანის პროექტის მარშრუტისადმი იყო მისი კარგი ურთიერთობებბით საქართველოსთან, თურქეთთან და აზერბაიჯანთან. ამას თან ერთვოდა ის ფაქტორიც, რომ ეს პროექტი ამ ქვეყნებს დასავლეთთან კიდევ უფრო დაახლოვებდა და შეასუსტებდა რუსეთის გავლენას.საბოოლ პროექტი ექსპლუატაციაში შევიდა და დიდ როლს ასრულებს რეგიონის სახელმწიფოტა კეთილდღეობაში.

„ცისფერი ნაკადი“ წარმოადგენს ამბიციურ პროექტს სტრატეგიული თვალსაზრისით, რომელიც განკუთვნილია ბუნებრივი აირისათვის. იგი გულისხმობს 16 მილიონ კუბური მეტრის გადაზიდვას რუსეთიდან თურქეთის მიმართულებით. თურქეთს

უწევდა არჩევანი გაეკეთებინა თურქმენულ გაზსა და რუსულ გაზს შორის, საბოლოოდ კი რუსული გაზი შეირჩა.თურქეთის გაზის დამოკიდებულება რუსეთზე შეადგენს 60%-ზე მეტს.

გამომდინარე მათი სტატუსისა რეგიონში ძალთა ბალანსი შიცვალა და რუსეთის მხარეს გადაიწია. თურქეთმა კი დაკარგა უპირატესობები რეგიონში. თურქეთს შეეძლო დამაკავშირებელი რგოლი ყოფილიყო ტრანს-კასპიურ თურქმენულ გაზსა და ევროკავშირს შორის და მის მისწრაფებებს აზრდიდა იმის შესახებ, რომ მას სურს გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. ეს პროექტი კი თურქეთისათვის სტრატეგიულად და ეკონომიკურად არამომგებიანია.

აგრეთვე გასათვალისწინებელია სამრეთის ნაკადის მნიშვნელობა, რომელიც კვეთს შავ ზღვას ბულგარეთში, იქიდან განშტოებულია ჩრდილოეთზე სერბეთში, სლოვნიაში, ავსტრიაში და უნგრეთში და სამხრეთზე გვერდის ავლით იტალიაში, რომელიც განკუთვნილია ცენტრალური აზიის და რუსეთის გაზის 311 მილიარდ კუბამეტრის ტრანსპორტირებით ბალკანეთის და სხვა ევროპულ სახელმწიფოებში, უკრაინის გვერდით ავლით, რომელსაც ხშირად აქვს უთანხმოება რუსეთთან ენერგეტიკულ ასპექტებში.

ტრანსანატოლიური გაზსადენი (TANAP) - ის მიხედვით დაგეგმილია აზერბაიჯანიდან საქართველოსა და თურქეთის გავლით ბუნებრივი აირის ევროპაში ტრანსპორტირება. მისი აგების შემთხვევაში, აღნიშნული გაზსადენის მეშვეობით შესაძლებელი გახდება გაზის შაჰ დე ნიზ 2-დან გაზის საბადოდან გაზის მოპოვება.

აღნიშნული პროექტის შესახებ დისკუსია 2011 წლის 17 ნოემბრიდან დაიწყო, როდესაც შავი ზღვის მესამე ენერგეტიკულ და ეკონომიკურ ფორუმზე დისკუსია გაიმართა. აღნიშნული ღონისძიება სტამბულში წარიმართა. დაახლოებით ერთი თვის თავზე, თურქეთმა და აზერბაიჯანმა ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელიც გაზსადენის მშენებლობისად ა მისი ოპერირებისათვის კონსორციუმის შექმნას ითვალისწინებდა. (Socor, V. 2012). თავდაპირველად, მილსადენის მშენებლობა 2014 წლისათვის იყო გათვალისწინებული, ხოლო მისი დასრულება 2018 წელს.

რაც შეეხება აღნიშნული გაზსადენის გამტანუნარიანობას, ექსპერტთა მონაცემებით პირველ ეტაპზე წლის განმავლობაში გათვალისწინებულია დაახლოებით 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება, თუმცა 2023 წლისათვის ნავარაუდევია ტრანსპორტირების მოცულობის ზრდა 23 მილიარდამდე და 2026 წელს 31 მილიარდამდე. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბუნებრივი აირის მოპოვების ზრდისა, აგრეთვე დამატებითი საკომპრესორო სადგურების ზრდისა და თურქმენეთიდან ტრანსკასპიური გაზსადენის ექსპლუატაციაში შესვლის შემთხვევაში, ტრანსპორტირების მოცულობის ზრდა 60 მილიარდ კუბურ მეტრამდეა სესაძლებელი.პროექტის მიხედვით, მილსადენი საქართველო-თურქეთის საზღვრიდან დაიწყება და მთელი თურქეთის ტერიტორიას გადაკვეთს, თურქეთ-ევროპის საზღვრამდე. მიუხედავად იმისა, თუ ზუსტი მარშრუტი ჯერ მკიდევ არ არის საბოლოოდ განსაზღვრული, უკვე გაკეთდა განცხადება, რომ ერთ-ერთი შტო მიმართული იქნება საბერძნეთის, ხოლო მეორე ბულგარეთის მიმართულებით. ნავარაუდევია, რომ განსადენი ტრანსატრიატიკულ მილსადენთან იქნება შეერთებული.

ტრანსადრიატიკული გაზსადენის მეშვეობით კასპიის ზღვის რეგიონში მოპოვებული გაზის ევროპაში ტრანსპორტირება იქნება შესაძლებელი. დაგეგმილია, რომ რომ ტრანს ანატოლიური გაზსადენის (TANAP) ახალ გასადენან შეერთება საბერძნეთი-თურქეთის საზღვარზე მოხდება, რომლის შემდეგ TAP -ის გაზსადენი აგებულ იქნება ჩრდილოეთ საბერძნეთის, ალბანეთის აგღერთვე ადრიატიკის ზღვის საზღვაო სივრცეში სამხრეთ იტალიის მიმართულებით, სადაც იგივე იტალიის ბუნებრივი გაზის ქსელთან იქნება შეერთებული.

თავის მხრივ, სამხრეთის გაზის დერეფნის ფარგლებში აგებულ იქნება 3500-კილომეტრი სიგრძის გაზის მილსადენის ქსელი, რომელიც მოიცავს სივრცეს კასპიის ზღვის რეგიონიდან ევროპამდე.

3.2. საქართველო-ნატოს ურთიერთობის მნიშვნელოვანი ასპექტები

საქართველოს ნატოსთან ურთიერთობა პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რომელტა თანამშრომლობა 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC). ხოლო 1994 წელს ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ შეუერთდა. დროთა განმავლობაში ურთიერთობები გაღრმავდა და უკვე 2002 წელს პრაღაში საქართველომ გააჟღერა ნატო-ში გაწევრიანების სურვილი.

2004 წელს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიწყო თანამშრომლობა ნატომ საქართველოსთანნ, რომლიც ფარგლებში საქართველომ აიღო კონკრეტული ვალდებულებები ალიანსის წინაშე.

2005 წელს ნატომ-მ მეკავშირე ოფიცრები მოავლინა საქართველოში, ხოლო შემდგომ პერიოდში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისი გაიხსნა თბილისში, რომლის მიზანი რეფორმების ხელშეწყობა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანება იყო.

ნიუ-იორკში 2006 წელს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე ალიანსმა მიიღ გადაწყვეტილება საქართველოსთან დაეწყო „ინტენსიური დიალოგი“, აღნიშნული ფორმატი ითვალისწინებდა კონსულტაციების გამართვას მთელ რიგ საკითხებზე, როგორებიცაა: თავდაცვის, ეკონომიკურ, უსაფრთოხების, პოლიტიკურ და სხვა საკითხებზე. 2008 წლის 19 აგვისტოს ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო შეხვედრაზე ალიანსმა ნატო-საქართველოს კომისიის დაარსების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, ხოლო ურთიერთგაგების მემორანდუმს 2008 წლის 15 სექტემბერს, ხოლო ხელი საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს პირველი ოფიციალური ვიზიტის დროს მოეწერა.

2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტზე ალიანსის წევრმა ქვეყნებმა საქართველო ერთ-ერთ ყველაზე თავსებად პარტნიორად აღიარეს და სხვა ოთხ ქვეყანასთან (ავსტრალია, იორდანია, ფინეთი, შვედეთი) ერთად „გაძლიერებული შესაძლებლობების

პარტნიორის“ სტატუსი მიენიჭა, რაც ნატო-სთან თანამშრომლობის გაფართოებული შესაძლებლობების მიღებას გულისხმობს. ალიანსის წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებით, 2014 წლის უელსის სამიტზე ნატო-ს თავდაცვის შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის ფარგლებში საქართველომ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი მიიღო, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება, ნატო-ში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა და ნატო-სთან ურთიერთთავსებადობის ამაღლება. 2015 წლის 1-2 დეკემბერს ქ. ბრიუსელში ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიიღეს განცხადება „ღია კარის“ პოლიტიკასთან დაკავშირებით. მოკავშირეებმა კვლავ დაადასტურეს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, საქართველო გახდება ნატო-ს წევრი. მნიშვნელოვანია, რომ ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა პირველად, საჯაროდ დაადასტურეს, რომ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული მექანიზმი ნატო-ს წევრობისთვის მოსამზადებლად. მინისტერიალის შედეგად მიღებულ დოკუმენტში, ნატო-ს წევრებმა დადებითად შეაფასეს საქართველოში მიმდინარე რეფორმები და ხაზი გაუსვეს ნატო–საქართველოს არსებითი პაკეტის წარმატებით განხორციელების პროცესს.

2016 წლის ნატო-ს ვარშავის სამიტის ფარგლებში პირველად გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. მნიშვნელოვანია, რომ ნატო-საქართველოს ერთობლივი განცხადება 2011 წლის შემდეგ, სწორედ ვარშავის სამიტზე მიიღეს. ერთობლივ განცხადებასა და სამიტის კომუნიკეში აღინიშნა, რომ საქართველოს ყველა პრაქტიკული მექანიზმი აქვს წევრობისთვის მოსამზადებლად. 2018 წლის ნატო-ს ბრიუსელის სამიტზე საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა სახელმწიფო მეთაურების დამთავრობის დონეზე მოკავშირეთა შეხვედრაში საქართველოსა და უკრაინასთან. ბრიუსელის სამიტზე სხვა საჯარო დოკუმენტებთან ერთად ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაციაც მიიღეს.

ბრიუსელის სამიტზე მიღებულ ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაციაში საქართველო ნახსენებია, როგორც ალიანსის ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორი. ალიანსი აღნიშნავს, რომ ნატო-სა და ევროკავშირის ოპერაციებში მონაწილეობა

მიუთითებს საქართველოს შესაძლებლობაზე, წვლილი შეიტანოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რაც ალიანსში გაწევრიანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. აღსანიშნავია ალიანსის მზადყოფნა, კიდევ უფრო გააღრმაოს საქართველოსთან დიალოგი და პრაქტიკული თანამშრომლობა შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

2017 წლის შემოდგომაზე ოპერატიული და სტრატეგილი დაგეგმვის ინიციატივა წარმატებით დასრულდა და არსებული პაკეტი აერთიანებს14 ინიციატივას, ესენია: ავიაცია, საზღვაო უსაფრთხოება, შესყიდვები, კიბერუსაფრთხოება, სტრატეგიული კომუნიკაციები, კრიზისების მართვა, კონტრმობილურობა, საჰაერო თავდაცვა, სადაზვერვო ინფორმაციების გაცვლა და უსაფრთხო კომუნიკაციების სისტემა, სპეციალური ოპერაციების ძალები, სამხედრო პოლიცია, ლოგისტიკური შესაძლებლობების განვითარება, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა და ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი.

ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ცენტრი უზრუნველყოფს როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების, აევე საერთაშორისო ქვედანაყოფების წვრთნასა და შეფასებას. რომელიც მიმართულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ზრდისკენ და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებისაკენ.

აგრეთვე აღსანიშნავია ნატოს სამხედრო წვრთნები შავ ზღვაში და ამ სწავლებებში ქართული მხარის მონაწილეობა. საქართველოს ინტერესები გარკვეულ თანხვედრაში მოდის ნატო-ს ინტერესებთან რეგიონში, ვინაიდან საქართველოსთვის გეოგრაფიული თვალსაზრისით შავი ზღვა ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან ერთადერთი შეხების წერტილია. აგრეთვე რეგიონის უსაფრთხოება პირდაპირპროპორციულად აისახება საქართველოს სატრანზიტო, სავაჭრო და რაც მთავარია ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. სწორედ ამიტომაც, საქართველო ცდილობს ნატოსთან თანამშრომლობის საფუძველზე კიდევ უფრო გაიმყაროს პოზიციები რეგიონში. ამის ნათელ დადასტურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რომელსაც ექსპერტები არა მხოლოდ საპორტო ფუნქციების მატერებელს განიხილავენ, არამედ აფასებენ როგორც

სამხედრო მნიშვნელობის ობიექტს, რომელსაც ექნება დიდი დატვირთვა როგორც სამხედრო, ასევე ტრანზიტული თვალსაზრისით.

გამომდინარე იქიდან, რომ შავი ზღვის უსაფრთხოება პირდაპირ გავლენას ახდენს ევრო-ატლანტიკური სივრცის ეკონომიკურ განვითარებაზე, იგი დაინტერესებულია უსაფრთხოებითა და კეთილდღეობით რეგიონში. ამას თან ერთვის ბულგარეთის სახელმწიფო, რომელიც არ არის წინააღმდეგი რუსეთს ჰქონდეს მზარდი გავლენა შავი ზღვის რეგიონზე. შავ ზღვასა და კავასიის რეგიონში გეოსტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით საქართველომ უნდა დაიკავოს თავისი ნიშა. ამჟამად ხორციელდება შავიზღვისპირეთში ანაკლიის პორტის მშენებლობა, რომელსაც უდიდესი პოტენციალი გააჩნია, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული პორტის ოპერატორი ამერიკული ქ. სიეტლში (აშშ) მოქმედი კომპანიაა (SSA Marine). ანაკლიის პორტი შავი ზღვის საზედამხედველო და გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას გაზრდის.

საქართველოსათვის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების მნიშველობა ასევე დადასტურებულია თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებში. 2014 წელს შემუშავებულ ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში რეგიონულ დონედ გამოყოფილია შავი ზღვის რეგიონი და აღნიშნულია, რომ დაინტერესებულია გააღრმავოს თანამშრომლობა რეგიონის ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ნატოს წევრ სახელმწიფოებთან.

შავი ზღვის უსაფრთხოება ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხია ნატოსა და საქართველოს უმაღლესი დონის წარმომადგენლებს შორის. საქართველო აქტიურად არის ჩართული ნატოს მიერ ჩატარებულ სამხედრო წვრთნაში. ხოლო, ქვეყანაში მიმდინარე უსაფრთხოების სექტორის რეფორმა მიზნად ისახავს საქართველოს სამხედრო სფეროს ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას. საქართვლოს თანამშრომლობამ დასავლელ პარტნიორებთან სამხედრო სფეროში, წვლილი შეიტანა ქვეყნის სანაპირო დაცვის გაძლიერებაში და ზოგადად საზღვაო ძალების შემადგენლობაში მყოფი სამხედროების პროფესიონალიზმისა და უნარების განვითარებაში.გაძლიერდა კონტაქტები ნატოს საზღვაო ძალების სარდლობასა და საქართველოს სანაპირო დაცვას შორის.

საქართველოს დიდი წვლილი შეაქვს აგრეთვე ნატოს ეგიდით წარმართულ მისიაში ავღანეთში, რომელიც მიზნად ისახავს ავღანეთის ეროვნული თავდაცვის და უსაფრთხოების ძალებისათვის წვრთნის, დახმარების და კონსულტაციების გაწევას. საქართველომ ნატოს არა-წევრ სახელმწიფოტაგან ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა კონტიგნტის განთავსების მხრივ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში (ISAF), რომელიც დასრულდა 2014 წლის დეკემბერში

საქართველო აგრეთვე მხარს უჭერს ნატოს კონტრ-ტერორისტულ საზღვაო სადაზვერვო ოპერაციას „აქტიური ძალისხმევა“ ხმელთაშუა ზღვაში. მან მონაწილეობა მიიღო ნატოს რეაგირების ძალების 2015 წლის როტაციაში და ასევე შემდგომ წლებშიც NRF-ში მონაწილეობის ვალდებულებაც აიღო

3.3. ნატოს სამომავლო გეგმები რეგიონთან მიმართებაში და მისი როლი მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფაში

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ ალიანსმა დაიწყო თანმიმდევრული სტრატეგიის შემუშავება რეგიონთან მიმართებაში. შავ ზღვასთან დაკავშირებული საკითხი ასევე წინა პლანზე იქნება წამოწეული, რადგან დასავლეთსა და რუსეთს შორის დაძაბულობის ფონზე დღითიდღე იზრდება შავი ზღვის მნიშვნელობა. დაიწყო სხვადასხვა ინიციატივების მიღება და განხილვა, რომლის საფუძველზეც მიიღეს შავი ზღვის მრავალეროვნული ძალების შექმნის გადაწყვეტილება (2017 წელი). რომელიც მიუთითებს ნატოს სამხედრო წარმომადგენლობის ზრდას შავ ზღვაში.

გათვალისწინებით იმისა, რომ მონტროს დოქტრინის გადახედვა წარმოუდგენელია ახლო მომავალში, ნატოსათვის დასაყრდენნი უნდა გახდნენ რეგიონის სახელმწიფოები. აღნიშნულ საკითხში კი საქართველოსა და უკრაინის როლიც საგრძნობლად დიდია, რომელიც კიდევ უფრო გაზრდის და აამაღლებს ამ ქვეყნების თავდაცვისუნარიანობას. აგრეთვე გასათვალისწინებელია რეგიონში არსებული გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია თურქეთსა და რუსეთთან, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნას უშლის ხელს. თურქეთისა და მის ტრადიციულ პარტნიორს აშშ-ს

შორის ურთიერთობების დაძაბვა და ამის ფონზე რუსეთ-თურქეთის დაახლოება დამატებითი საფრთხეების მატარებელია რეგიონში.

2014 წლის შემდეგ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა , როდესაც რუსეთ-თურქეთისა და ნატოს სამხედრო ძალები სახიფათოდ გადაეკვეთნენ ერთმანეთს საზღვაო სივრცეში. გამალებული მილიტარიზაციის ფონზე შავი ზღვა შესაძლებელია ნატოსა და რუსეთს შორის დაძაბულობის მნიშვნელოვან ხაზად იქცეს. რეგიონის წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არ არიან ნატოს წევრნი აუცილებელია გაფართოების გაგრძელება, რათა რუსეთმა ვერ მოახერხოს აგრესიის გაგრძელება ამ სახელმწიფოთა მისამართით. სწორედ ამიტომაც, ის არაწევრი სახელმწიფოები, რომლებსაც სურთ ევრო-ატლანტიკურ სივრცეში თავიანთი პოზიციების დაკავება ცდილობენ დაუახლოვდნენ ნატოს სტანდარტებს და ეს თანამშრომლობა ზრდის შსაძლებლობებს გახდნენ ალიანსის წევრნი.

შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ასევე აღსანიშნავია ე.წ. „გაყინული კონფლიქტები“. რუსეთი ყველანაირად ეცდება მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გააქტიუროს და ქაოსი შემოიტანოს რეგიონში, რათა შეაჩეროს ალიანსის და რეგიონის წევრი სახელმწიფოების მისწრაფებები.

ნატომ უნდა შეინარჩუნოს და აწარმოოს ინტენსიური დიალოგი საქართველოსა და უკრაინასთან. უნდა მოხდეს თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება, როგორც ალიანსის ასევე დიალოგში ჩართული სახელმწიფოთა მხრიდან. აგრეთვე ალიანსმა უნდა განაგრძოს ღია კარის პოლიტიკის შენარჩუნება, რათა შეძლოს რეგიონში შეინარჩუნოს მყარი პოზიციები და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. აგრეთვე გარდა შავი ზღვის უსაფრთხოებისა ნატოს ინტერესს რეგიონში ტერორიზმი და ჰიბრიდული საფრთხეები წარმოადგენს, ამიტომაც თანამშრომლობის გააქტიურება აუცილებელია. ნატოს ინტერესებში შედის ასევე თურქეთთან ურთიერთობების დალაგება და საერთო ინტერესეზე შეჯერება, რომელიც მიმართული იქნება რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარებისაკენ.

ალიანსმა დაიწყო სტრატეგიის შემუშავება შავი ზღვის რეგიონში, რომლითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შავი ზღვა კიდევ უფრო დიდ ადგილს დაიკავებს ალიანსის უსაფრთხოების პოლიტიკაში.

რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების ფონზე, როდესაც ცივილიზირებული სამყარო რუსეთს აგრესიულ პოლიტიკასა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევაში სდებს ბრალს, სწორედ რუსეთის შეკავების მიზნით ნატომ დაიწყო ზრუნვა აღმოსავლეთ ფლანგის გასამაგრებლად. აღმოსავლეთ ფლანგში სტრატეგიულ როლს თამაშობს შავი ზღვის რეგიონი, ალიანსის ფარგლებში დაიწყო სხვადასხვა ინიციატივების განხილვა და მიიღეს შავი ზღვის მრავალეროვნული ძალების შექმნის გადაწყვეტილება (2017 წ.). არსებული ვითარება მიუთითებს, რომ ნატოს სამხედრო წარმომადგენლობა კიდევ უფრო გაძლიერდება შავ ზღვაში.

ახლო მომავალში პრაქტიკულად წარმოუდგენელია მონტროს კონვენციის გადახედვა, შესაბამისად, ალიანსის დასაყრდენი რეგიონის სახელმწიფოები უნდა იყვნენ. ასევე აუცილებელია პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების შენარჩუნება და მათი ჩართულობა რეგიონში არსებული გამოწვევების დასაძლევად, რომლიც თავის მხრივ კარგ შესაძლებლობებს მისცემს ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს გამოიყენონ იგი ნატოში ინტეგრაციის გასააქტიურებლად.

რუსეთი და თურქეთი მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნისა და ნატოს როლის გაძლიერებისათვის. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის ბოლო პერიოდშიგანვითარებული მოვლენებით და თურქეთსა და პარტნიორ აშშ-ს შორის ურთიერთობების დაძაბვის ფონზე, რუსეთ-თურქეთის დაახლოება ქმნის შავი ზღვის რეგიონში სხვა აქტორების როლის შეზღუდვას და რეგიონში არსებული პრობლემების რეგიონალურ დონეზე გადაწყვეტას.

შავი ზღვის რეგიონზე სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოების ფოკუსირება და მიმდინარე მილიტარიზაციის ტენდენციები ზრდის რეალური კონფრონტაციის რისკს. 2014 წლის შემდეგ რამდენიმე სახიფათო შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც რუსეთ-თურქეთისა და რუსეთისა და ნატოს სამხედრო ძალები

სახიფათოდ გადაიკვეთნენ რეგიონის საზღვაო სივრცეში. შავი ზღვის მილიტარიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით, შესაძლოა შავი ზღვა უახლოეს მომავალში რუსეთსა და ნატოს შორის დაძაბულობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხაზად იქცეს.

რუსეთის შესაკავებლად აუცილებელია ევრო-ატლანტიკური სივრცის გაფართოების გაგრძელება. ნატოსათვის აუცილებელია რეგიონში მისი პარტნიორი სახელმწიფოების სტაბილურობა, რომლის საფუძველზეც ისინი ხშირად მონაწილეობას იღებენ დისკუსიებსა და ინიციატივებში შავი ზღვის რეგიონთან მიმართებაში, რომლიც ასევე მიმართულია ამ სახელმწიფოების მიახლოებისაკენ ნატოს სტანდარტებთან.

.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში შავი ზღვის უსაფრთხოება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საერთაშორისო აქტორთა პოლიტიკურ დღის წესრიგში. რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონული უსაფრთხოების ჩამოყალიბებაზე. ინტერესესთა კონფლიქტი, რომელიც არსებობს შავი ზღვის რეგიონში დიდი

გამოწვევების წინაშე აყენებს მსოფლიოს, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები რეგიონთან მიმართებაში. აღნიშნული დაპირისპირების მთავარი მიზეზებია: ეროვნული ინტერესები, საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვა, რეგიონში სტაბილურობის დარღვევა და სხვა.

რა არის ალიანსის მთავარი ამოცანა რეგიონთან მიმართებაში?

შავი ზღვის რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია ნატოს წევრი როგორც ევროპელი მოკავშირეების, ასევე შეერთებული შტატებისათვის, როგორც მთავარი ხიდი ენერგომატარებელთათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და როგორც ბარიერი სხვადასხვა საშიშროებებისა და გამოწვევების წინააღმდეგ. უსაფრთხოების კონტროლი ამ რეგიონში, შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების სხვადასხვა ინტერესებითაა გამოწვეული.. ზოგიერთი ქვეყნის ინტერესები და პრიორიტეტები თანხვედრაშია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტრატეგიულ ინტერესებთან, მაშინ როცა ზოგი სახელმწიფო ეწინააღმდეგება ნატოს გააქტიურებას რეგიონში.

ალიანსის მთავარი ამოცანა სტაბილურობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბებაა რეგიონში, რომელიც მიმართული იქნება საერთო უსაფრთხოების ინტერესების ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანი პროექტები, რომელსაც ნატო ახორციელებს რეგიონში სწორედ ამისკენ არის მიმართული. აღმოსავლეთიდან მომავალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად გზა კავკასიის რეგიონზე გადის, რომლის სტაბილურობა და უსაფრთხოება ნატოს ინტერესებში შედის. ალიანსს სურს გაფართოების პოლიტიკა განაგრძოს და მის რიგებს შეუერთდნენ შავი ზღვის აუზის ის სახელმწიფოები, რომლებიც აქტიურად გამოხატავენ მზაობას გაწევრიანდნენ ალიანსში.

თანამშრომლობის გაღრმავება და პარტნიორ სახელმწიფოთა დახმარება სხვადასხვა სფეროებში. რუსეთის ფედერაციის მზარდი მილიტარიზაციის შეჩერება და თურქეთთან ურთიერთობების დალაგება, რომლებიც რეგიონში უსაფრთხოების არამდგრად გარემოს ქმნის.

ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, რამდენად ეფექტურია არსებული სტრატეგია უსაფრთხოების უზრუნველყოფაში?

ნატოს სტრატეგიას, რომელიც ეფუძვნება ალიანსის წევრი სავი ზღვის აუზის ქვეყნების სახელმწიფოების მხარდაჭერას და შავ ზღვაზე როტაციული პრინციპით სამხედრო ხომალდების განთავსებას, უნდა შექმნას მცირე ზონები რუსეთის გარშემო. ის მიზნად ისახავს პოლიტიკურად ნაკლებ ჩართვას და რეალისტური მისწრაფებაა. რუსეთის ფლოტი მნიშვნელოვნად იზღუდება ამ რკალით. დღეისათვის რუსეთი თავისუფლად მოქმედებს ხმელთაშუა ზღვაზე, რადგან იგი დარწმუნებული შავი ზღვის კონტროლში, მაგრამ ახალი სტრატეგიის გათვალისწინებით მას მოუწევს უფო დიდი ძალების დისლოცირება მოახდინოს შავი ზღვის აუზში, რამაც შესაძლებელია მისი პოზიციების შერყევა გამოიწვიოს ხმელთაშუა ზღის აუზში. აგრეთვე 2019 წელს მიღებული ე.წ. შავი ზღვის პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მხარდაჭერას ისეთ სფეროებში, როგორიცაა: საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის სამსახურის წვრთნა, ვიზიტები პორტებში და ინფორმაციის გაცვლა. ნატო-ს გემები უკრაინულ და ქართულ ხომალდებთან ერთად სწავლებაში მონაწილეობენ. ასევე ახალი პაკეტი ითვალისწინებს თვალთვალის სისტემების გაძლიერებას. თურქეთის მიერ რუსული ს-400-ის შეძენის შემდეგ ნატოს კიდევ უფრო დაეძაბა ურთიერთობები ალიანსის წევს თურქეთთან. ალიანსის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებები კი სრულ თანხვედრაშია მის ინტერესებთან რეგიონში. თითოეული ქმედება, რომელსაც ის ახორციელებს შავი ზღვის რეგიონში ეს არის მისი ინტერესების დაცვისკენ მიმართული, ხო რაც შეეხება არსებული სტრატეგიისა და პაკეტების გათვალისწინებით მის ეფექტიანობას, ამას რუსეთის ქმედებებიც ცხადყოფს, რომელიც შეშფოთებულია ალიანსის ასეთი ქმედებებით რეგიონში. მაგრამ ეს არ ქმნის იმის ილუზიას, რომ ნატოს რეგიონში მყარი პოზიციები აქვს, მაგრამ თანმიმდევრული ქმედებებით ის ცდილობს თანხვედრაში იყოს იმ გამოწვევებთან, რომელიც არსებობს რეგიონში.

როგორი შედეგები შეიძლება მივიღოთ ნატოს სამხედრო ძალების ყოფნით შავ ზღვაზე?

ნატოს სამხედრო ძალების ყოფნა შავი ზღვის აკვატორიაში რუსეთისათვის ეს გახლავთ შმაშფოთებელი ფაქტი.ის მას განიხილავს, როგორც მისი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას. აღნიშნული ქმედებები, რომლებიც მომდინარეობს ნატოს მხრიდან რუსეთის ფედერაციასაც უბიძგებს საპასუხო ქმედებებისაკენ, რომელიც აისახება კიდეც რუსეთის მხრიდან მზარდ მილიტარიზაციაში შავი ზღვის რეგიონში. დაპირისპირებულ მხარეთა ფონზე, დამატებით პრობლემებს ქმნის თურქეთის ფაქტორი, რომელსაც დიდი უფლებები გააჩნია შავი ზღვის აკვატორიაში და დაძაბული ურთიერთობები აქვს ალიანსთან, რომლის გამოყენებასაც ცდილობს რუსეთი. ნატოს სამხედრო ძალების ყოფნით შავ ზღვაზე, შეიძლება მივიღოთ „მეორე ცივი ომის“ პერიოდი, რა სახელითაც ექსპერტები მოიხსენიებენ კიდეც აღნიშნულ ქმედებებს რეგიონში.

აღნიშნულის გათვალისწინებით სარგებელი შესაძლოა მიიღონ ნატოს არაწევრმა სახელმწიფოებმა, რომლებიც გამალებული კონფრონტაციის ფონზე თანდათან უახლოვდებიან იმ სტანდარტებს, რომელიც ნატოს გააჩნია. მასშტაბურად ღებულობენ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას, რომელიც მათ მზარდ განვითარებას უწყობს ხელს, მაგრამ ზრდის რისკის ფაქტორს რუსეთის მხრიდან, რომელსაც ალიანსის ორივე პარტნიორ სახელმწიფოსთან გააჩნია ტერიტორიული დავები.

ანაკლიის პორტის მშენებლობა კიდევ უფრო დაახლოვებს და გაამყარებს ურთიერთობებს ნატო-საქართველოს ურთიერთობებში, რადგან აღნიშნულ პორტს შეეძლება მიიღოს ალიანსის გემები და ნატოს სწავლებებში აქტიური მონაწილეობა მიიღოს. რომელიც რასაკვირველია რუსეთის ინტერესების საპირისპირო ქმედებაა, რომლისგანაც მოსალოდნელია პროვოკაციული ქმედებები, რომელიც მიმართული იქნება ალიანსისა და პარტნიორი ქვეყნების საზიანოდ.

კვლევის შედეგი: ნაშრომის დასაწყისში დასმული ჰიპოთეზა კვლევის შედეგად დადასტურებულია. შავი ზღვის უსაფრთხოება მუდამ იქნება ალიანსისა და რუსეთის ფედერაციას შორის დაპირისპირების საგანი. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, არც ერთი აქტორი არ აპირებს პოზიციების დათმობას, რომელიც კიდევ უფრო ძაბავს სიტუაციას რეგიონში. კავკასიის რეგიონული უსაფრთხოება არ არის აუცილებელი მხოლოდ რეგიონისათვის, მისი სატრანზიტო ფუნქციებიდან გამომდინარე ის გლობალურ მასშტაბებს უტოლდება და საერთაშორისო არენაზე აქვს მას გავლენა. ის არ განიხილება, როგორც რეგიონალურ დონეზე არსებული დაპირისპირება, შეგვიძლია არსებული რეალობა შევადაროთ მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემას, რომლიც მოგვარებაში აუცილებელია მთელი რიგი აქტორების ჩარევა და საერთო შეხედულებებზე შეჯერება, მაგრამ როგორც დროთა მსვლელობა გვიჩვენებს ამ ეტაპზე აღნიშნული ქმედება გამორიცხულია.

გამოყენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად ძალთა ბალანსის თეორია- მიმოხილულია საქართველოსა და უკრაინის მაგალითზე, რომელთა ინტერესები მდგომარეობს წარმოაჩინონ საკუთარი პოზიციები როგორც რეგიონში, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. ისინი ცდილობენ იმოქმედონ თვითგადარჩენის ინსტიქტით და ამიტომაც ცდილობენ გაერთიანებას ევრო-ატლანტიკურ სივრცეში.

გეოსტრატეგიული ბალანსი - თეორია გამოყენებულია თითოეული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური რეალობის წარმოსაჩენად რეგიონში. გამომდინარე ამ თეორიის ბუნებისა, რომელიც მოიცავს 2 დონეს ლოკალურსა და გლობალურს, განხილულია ორივე მათგანი და მოყვანილია მაგალითები, აღნიშნულის დასადასტურებლად.

თანამშრომლობითი უსაფრთხოების - თეორია გამოყენებულია რეგიონში მიმდინარე მოვლენების შეფასებისათვის, რომლის საფუძველზეც თვალნათლივ გამოიკვეთა ამ თეორიის მართებულობა კონკრეტულად ამ რეგიონში.

ურთიერთდამოკიდებულების თეორია - თეორია დამეხმარა ნათლად წარმომეჩინა საერთაშორისო ორგანიზაციის როლი რეგიონში და ერთ მთლიან სისტემაში თითოეული რგოლის ფასეულობები საერთო საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1)აბაშიძე, ზ. *ნატო და საქართველო : უტოპიიდან რეალობისკენ.თბილისი* (2000)

2) აბაშიძე, ზ., ცინცაძე, ს., &სამუშია, ჯ. *საქართველო-ნატო : საწყისები, რეალობა, პერსპექტივები.* თბილისი: ახალი თაობა-ახალიი ნიციატივა. (2007).

3) აძინბაია, ზ. ნატო შავ ზღვაში: რას უნდა ველოდოთ შემდგომ? *ანაკლიის განვითარების კონსორციუმი* . (2017).

4) ბაგრატიონი, კ. შავი ზღვის უსაფრთხოება – შანსი საქართველოსთვის. *საქართველოს რესპუბლიკა* , 7-8. (2017).

5) ბურკაძე, ხ., &კორეპანოვი, ა. *ნატო ღიაკარი.* თბილისი: გამომცემლობა საარი. (2010).

6) გვენეტაძე, ე. *ნატო (NATO) საერთაშორისო ურთიერთობებში.*თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი: ბასიანი. (2009).

7) გ ზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.. თბილისი: სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. (2017)

8) გობრონიძე, გ.. "სავარაუდოდ, რუსეთს არც თუ რბილი რეაგირება ექნება". (დ. მუსელიანი, Interviewer) (2017 წლის 31 მაისი)

9) გურგენიძე, მ. ორი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონალური უსაფრთხოება = Black sea and caspian sea security issues. *ვემსახურები საქართველოს / საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოველკვარტალური ჟურნალი. თბილისი* , გვ. 82-85. (2008).

10) ვაშაკიძე, რ.. *ნატოს გეოსტრატეგია 21-ესაუკუნეში: ღია კარის პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონის მიმართ.* თბილისი. (2009)

11) იაშვილი, თ., &იაშვილი, ი. რუსეთის აგრესიული ენერგეტიკული პოლიტიკა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. *ხელისუფლება და საზოგადოება* . (2008).

11) კოგან, ი.. *ნატო-საქართველოს ურთიერთობები: 28-სმინუს 1 = NATO-Georgia relations: 28 minus 1.*თბილისი: საქ. სტრატეგიისა და საერთაშ. ურთიერთობათა კვლევის ფონდი. (2014)

12) კოგანი, ი.. *ოთხმხრივი ურთიერთობები: რუსეთი/ევროკავშირი/ნატო/ამერიკა-საქართველო = Quadruple relations: Russia/EU/NATO/US-Georgia / იუჯინ კოგანი.*თბილისი: საქ. სტრატეგიისა და საერთაშ. ურთიერთ. კვლევის ფონდი. (2013)

13) კოენი, ა.. საჭიროა შავი ზღვის ამერიკული სტრატეგია. (2006 წლის 19 დეკემბერი)

14) კოწოწაშვილი, მ.. ნატოს შავი ზღვის უსაფრთხოების ახალი სტრატეგია. *ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი განათლება* .

15) მაისაია, ვ., &სალუქვაძე, ა. (2018). ბრიტანული გამანადგურებლები და ნატოს გეგმები შავი ზღვის პატრულირებას შეუდგნენ. *ქვაკუთხედი : ეროვნულ-სარწმუნოებრივი ჟურნალი.* , pp. 22,24,26,28,30. (2017 წლის 18 თებერვალი)

16) ქარუმიძე, ვ. *საერთაშორისო ორგანიზაციები.*თბილისი: საგანმანათლებლო კავშირი საზოგადოება ცოდნა. (2003).

17) ღვინერია, შ.. *შავი ზღვის უსაფრთხოება ნატოს ყურადღების ცენტრში = Black Sea security in NATO spotlight.*თბილისი: საქ. სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. (2016)

18) ჩიტაძე, ნ. *გეოპოლიტიკა.*თბილისი: უნივერსალი. (2011).

19) ჩიტაძე, ნ.*ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი.*თბილისი: წიგნი გამოიცა ნატოს სწავლების ფარგლებში. (2008).

20) A NATO Strategy.. *Atlantic Council - BRENT SCOWCROFT CENTER* . (2016)

21) antonenko, o. Towards a comprehensive regional security framework in the Black Sea region after the Russia–Georgia war. *Southeast European and Black Sea Studies* . (2009).

22) Bozkurt, G. *Blue Black Sea: New Dimensions of History, Security, Strategy, Energy and Economy.* Cambridge scholars. (2013).

23) cross, s.. NATO–Russia security challenges in the aftermath of Ukraine conflict: managing Black Sea security and beyond. *Southeast European and Black Sea Studies* . (2015)

24) Horrell, S. A NATO Strategy for Security in the Black Sea Region. *Atlantic Council of the United States. Brent Scowcroft Center on International Security* . (2016).

25) Houston, ,. i., Wood, d., & Robinson, d.. *NATO Science for Peace and Security Series - E: Human and Societal Dynamics.* (2010)

26) IEA, E. P.. *Energy Policies Beyond IEA Countries : Caspian and Black Sea Regions 2015.* (2015)

27) japaridze, t. *The Black Sea – A Key Strategic Corridor - Is the Region a Black Hole or a Grey Zone within the EU, Eurasian and Euro-Atlantic Space?*

28) Lyutskanov, e., Alieva, L., & Serafimova, M. (2013). *Energy Security in the Wider Black Sea Area.* (2013).

29)maisaia, v. *The Caucasus-Caspian regional and energy security agendas-past, contemporary and future geopolitics : View from Georgia / Vakhtang Maisaia.* (2007).

30) Melvin, n.. Rebuilding Collective Security in theBlack Sea Region. *SIPRI Policy Paper No. 50* . (2018, december)